საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 84 (363) სამშაბათი, 19 მაისი, 1992 წელი ფასი 1 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

სამხედრო კომენდანტის ცნობა

გასულ შაბათსა და კვირას ექსპრეზიდენტის მომხრეებმა კვლავ სცადეს მოეწყოთ მიტინგები რესპუბლიკის დედაქალაქში, მაგრამ მილიციის მუშაკებმა აღკვეთეს ისინი თბილისში მოქმედი საგანგებო წესების შესაბამისად. დემონსტრანტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ორი ყველაზე აქტიური წევრი დააკავეს.

ბოლო ოთხ დღე-ღამეში, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს ქალაქის სამხედრო კომენდანტის პრესსამსახურში, კრიმინოგენური სიტუაცია გართულდა. მოხდა თავხედური თავდასხმები კოოპერაციულ საწარმოებზე. კერძოდ, სამგორის რაიონში ოთხი შეიარაღებული დამნაშავე თავს დაესხა კოოპერატივ „ტიტას“. სროლის შედეგად მოკლულია ორი და დაჭრილია ორი კაცი. დამნაშავენი მიიმალნენ. მიმდინარეობს მათი ძებნა.

მოხდა შეიარაღებული თავდასხმები მოქალაქეებზეც. 14 მაისს ქინძმარაულის ქუჩაზე 22 საათზე სამმა ბოროტმოქმედმა გაძარცვა ორი გამვლელი და სხეულის დაზიანებაც მიაყენა მათ. დამნაშავენი დააკავეს.

საქართველოს მილიციის თანამშრომლებმა ამხილეს პირები, რომლებიც ხმარობენ და ასაღებენ ნარკოტიკებს, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავს მოსახლეობა.

უკანასკნელ ხანს უფრო ნაკლებად ირღვევა კომენდანტის საათი. საშუალოდ ღამის მანძილზე აკავებენ დაახლოებით 20 კაცს.

●

შსს პრესცენტრის ცნობა

18 მაისს ღამით სოფელ თამარაშენს ოსების მხრიდან ესროლეს რაკეტები. ერთმანეთის მიმართულებით რამდენიმე გასროლა მოხდა სოფელ ერედვთანაც. საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის, არავინ დაშავებულა.

18 მაისს დილიდან ზუგდიდში შედარებით სიმშვიდე იყო. ამავე დღეს ღამის 8 საათსა და 30 წუთზე დაბა ჭვარშენში უცნობმა პირებმა დაუშინეს ცეცხლი ენგურჰესის დაცვის მილიციის შენობას, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლი დაუშინეს და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები ესროლეს ამავე დაბაში სასტუმროს, რომელშიც ცხოვრობენ ადგილობრივი მილიციის დასახმარებლად ჩამოსული თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები. თავდამსხმელებმა კურსანტებს წინადადება მისცეს დაეყარათ იარაღი და დანებებულიყვნენ. მილიციის სკოლის კურსანტებმა დაიკავეს საბრძოლო პოზიცია, მაგრამ იმის გამო, რომ ბნელოდა, საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ. თავდამსხმელებმა, რაკი იგრძნეს, რომ კურსანტები არ დანებდებოდნენ, ნახევარი საათის შემდეგ იქაურობას გაეცალნენ. მსხვერპლი არ არის.

18 მაისს ღამის 8 საათზე წალენჯიხის რაიონის სოფელ ზედა მაზანდარაში ააფეთქეს ენგურჰესიდან გამომავალი 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის რკინის საყრდენი ანძა. მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ახლა, როდესაც დაისახა უაზრო დაპირისპირების მშვიდობიანი მოწესრიგების გზები, ნებისმიერი უპასუხისმგებლო მოქმედება, ვინც უნდა ჩაიდინოს ეს, უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

მშვიდობისა და თანხმობის გრძელი გზა

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დღეს საზრუნავი საკმაოდ აქვს, მაგრამ მათ შორის, უნდა ითქვას, მთავარია მშვიდობისა და თანხმობის დამყარება რესპუბლიკის ჯერ კიდევ ცხელ წერტილებად მიჩნეულ ადგილებში. ეს უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეხება ცხინვალის რეგიონს. აქ, როგორც 16 მაისს გამართულ სახელმწიფო საბჭოს მორიგ სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ძალისხმევის მიუხედავად, რომელსაც მიმართავენ როგორც საქართველოს, ისე ოსეთის მხარეები, ვითარება კვლავ დაძაბულია. თავს იჩენს ადამიანთა ურთიერთგაბოროტების ინერცია, რომლებიც როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან ავლენენ დანაშაულებრივ თვითმოქმედებას, რითაც არღვევენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული მორიგების პირობებს.

დაზავების პირობების შესრულებისადმი, რეგიონში სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების რაიმე თვითნებური მოქმედების დაუშვებლობისადმი კონტროლის უზრუნველყოფის პრობლემას მიეძღვნა წინა დღით გორში გამართული თათბირი. თათბირზე ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი 18 მაისს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მორიგების დაცვისათვის, მოსახლეობას შორის შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მუშაობის განხორციელებისათვის. განავითარეს რა ეს აზრი, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა, როცა დაისახა უაზრო დაპირისპირების მშვიდობიანი მოწესრიგების გზები, ნებისმიერი უპასუხისმგებლო მოქმედება, ვინც უნდა ჩაიდინოს ეს, უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად. ამავე დროს ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ახლა რეგიონში დისლოცირებული ეროვნული გვარდიისა და მილიციის ქვედანაყოფების მთავარი ამოცანაა დაიცვან ადგილობრივი მოსახლეობა და არა იმოქმედონ რომელიმე მხარის წინააღმდეგ.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, შეიცავდა აფხაზეთის ვითარების ანალიზსაც, სადაც უკანასკნელ ხანს მდგომარეობა შესამჩნევად გართულდა იმის გამო, რომ კონსენსუსი არ არის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მთელი რიგი პრინციპული საკითხების ირგვლივ.

სხდომაზე განიხილეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულის შესახებ. ეს ინსტიტუტი შემოღებულია დროებით ადგილებზე იმ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, ძირეული ეკონომიკური რეფორმის განხორციელება. დებულება კი განსაზღვრავს რწმუნებულის უფლებამოვალეობებს, მის ურთიერთობას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან. ამ დოკუმენტის დეტალური განხილვის შემდეგ, იგი მიიღეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი იყო რესპუბლიკის პოლიციის შესახებ დეკრეტის პროექტის განხილვა. იგი წარმოადგინეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ და სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ თედო ნინიძემ, რომლებმაც უპასუხეს სხდომის მონაწილეთა ბევრ კითხვას. გადაწყდა ამ პროექტის გამო შენიშვნები და წინადადებანი წერილობითი სახით შეიტანონ იურიდიულ კომისიაში და მათი განხილვის შემდეგ განაახლონ დოკუმენტზე მსჯელობა.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა სხვა საკითხებიც.

ცხინვალის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის

15 მაისს გორში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რეგიონში კონფლიქტის მოგვარების პრობლემებს. მასში მონაწილეობდნენ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო საბჭოს წევრები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, გორის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები, ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული მილიციისა და გვარდიის ნაწილების მეთაურები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საგანგებო რწმუნებულმა ცხინვალის რეგიონში, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, მილიციის გენერალ-მაიორმა რობინზონ თუშურაშვილმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ გამოიკვეთა რეგიონში მშვიდობიანობის აღდგენის იმედი. 13 მაისს მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ძირითადად სრულდება.

თუმცა 14 მაისს ღამით ერედვში, ვანათსა და კეხვში მაინც მოხდა შეტაკება ოს და ქართველ მოსახლეობას შორის. ცხინვალში ერთმანეთს ყოველდღიურად ხვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული რობინზონ თუშურაშვილი და ოსური მხარის ხელმძღვანელები. უკვე მიღწეულია პრინციპული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ უახლოეს ხანში აღდგეს უსაფრთხო მოძრაობა ქართულ და ოსურ სოფლებს შორის, გორის რაიონის სოფლებისაკენ გაუშვეს გადაკეტილი სარწყავი წყალი, რომლის სათავე ნაგებობა ცხინვალშია. უახლოეს დღეებში აღდგება სატელევიზიო კავშირი ცხინვალთან.

თათბირზე აღინიშნა ისიც, რომ დამყარებულია კონტაქტები ოსური მხარის ოფიციალური და არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების მეთაურებთან. დაგეგმილია მათთან შეხვედრა და მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების შედეგებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების განუხრელად დაცვა.

ცხინვალის რეგიონში სტაბილიზაციის მიღწევის კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე კავსაძემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რეგიონში დისლოცირებული გვარდიის ნაწილების მეთაურმა პოლკოვნიკმა გიორგი ყარყარაშვილმა, მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ, რესპუბლიკის ინფორმაციისა და დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი ბათიაშვილმა, გორის რაიონის სოფლების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო რეგიონში უაზრო სისხლისღვრას. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება, პრესითა და ტელევიზიით მიმდინარე მოვლენებზე სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებაზე ეფექტიანი კონტროლის დაწესება და სხვა.

თათბირობენ მრეწველობის მუშაკები

15 მაისს პროფკავშირთა რესპუბლიკურ სახლში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხვედრა სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოთა დირექტორებთან.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ რომან გოცირიძემ, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერიან ადვაძემ, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა.

საუბარი ძირითადად „საქართველოს რესპუბლიკაში დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ უკვე საკმაოდ გახმაურებულ დადგენილებასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა. აღინიშნა, რომ სწორედ ეს დადგენილება გახდა იმ სტრუქტურული ცვლილებების საფუძველი, რომლებსაც სამინისტროს სისტემაში შემავალი 22 კონცერნის გაუქმება მოჰყვა. ანტიმონოპოლიური კანონი თავისთავად არ ზღუდავს დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულების გაერთიანების შესაძლებლობას. თუ კონცერნი, ჩვეულებრივი, იძულებითი წესით იქმნებოდა, დღეს ახალი ტიპის გაერთიანების შექმნის პრინციპი ნებაყოფლობითია და გაერთიანებებში შემავალი თითოეული სამეურნეო რგოლის ინტერესებს ითვალისწინებს. გამომსვლელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზეც, რომ თუ არ გვექნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, საერთოდ შეუძლებელია მეურნეობრიობის საბაზრო რელსებზე გადაყვანა, საკონკურენციო გარემოს შექმნა, სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

შრომა გადაგვარჩენს

სამი თვის იძულებითი მოცდენის შემდეგ, რაც ენერგეტიკული კრიზისით იყო გამოწვეული, ტემპს იკრებს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“.

თბილისელები პირდაპირ კონტაქტებს ამყარებენ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებენ იმას, რომ გაერთიანების მიერ გამოშვებულ ელექტრულ აპარატებზე, პლასტმასის ნაწარმზე სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია.

მსოფლიოს 45-ზე მეტ ქვეყანასთან დადებულია საექსპორტო ხელშეკრულებები, რაც „ელექტროაპარატს“ საშუალებას მისცემს მიიღოს ვალუტა.

სურათებზე: ამწყობი ზეინკალი ლია ხიდაშელი; საწარმოს ერთ-ერთ საამქროში.

ირაკლი გედენიძის ფოტო.

მინისტრი... ტყვეობაში?!

ორმხრივ მოლაპარაკებაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა ცხინვალში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებსა და ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, სხვა საკითხებთან ერთად შეთანხმდნენ იმაზეც, რომ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო აღადგენდა ამ რეგიონში სატელევიზიო, სატელეგრაფო-სატელეფონო და საფოსტო კავშირებს. გუშინ დილით კი საქართველოს რადიომ გადასცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობა იმის შესახებ, რომ 16 მაისს ცხინვალში განლაგებული სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოსმა ე. წ. „ბოევიკებმა“ დააკავეს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი ბატონი ოლეგ კეშელავა და მასთან ერთად აქ ჩამოსული ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები. ჩვენი კორესპონდენტი სწორედ ამ საკითხის გასარკვევად შეხვდა და ესაუბრა ბატონ ოლეგს.

— ბატონო ოლეგ, ცხადია, თქვენს გამოჩენას ცხინვალში ჰქონდა კონკრეტული მიზანი და მას წინ უსწრებდა მოლაპარაკებაც ამის თაობაზე. თქვენ რას გვეტყვით?

— რა თქმა უნდა... ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებთან ცხინვალში შეხვედრის დროს თავად ოსურმა მხარემ წამოჭრა ამ რეგიონში კავშირგაბმულობის საშუალებათა აღდგენისა და ნორმალურად ფუნქციონირების საკითხი. ჩვენც სწორედ ამ მისიით ვიყავით ჩასული ცხინვალში. ცხადია, მე მქონდა წინასწარი სატელეფონო საუბარი ბატონ ტორეზ კულუმბეგოვთან, რომელთანაც შევთანხმდით, რომ 16 მაისს, დღის 3 საათზე ჩვენ ვიქნებოდით ცხინვალის შესასვლელში განლაგებულ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სადაც დაგვხვდებოდნენ თავად კულუმბეგოვი და ამ დარგის ცხინვალელი მუშაკები.

ასეც მოვიქეცით. მე მახლდნენ ჩვენი სისტემის წამყვანი სპეციალისტები, რომლებსაც ცხინვალელ კოლეგებთან ერთად უნდა შეესწავლათ შექმნილი ვითარება და დაესახათ კონკრეტული ღონისძიებანი კავშირების აღსადგენად.

ბატონი ტორეზ კულუმბეგოვი შეხვედრაზე არ გამოცხადდა; როგორც გადმომცეს, მას სხვა გადაუდებელი საქმე გამოსჩენია. იქვე სამხედრო ნაწილში გავმართეთ მოლაპარაკება ადგილობრივი კავშირგაბმულობის ხელმძღვანელთან ვალერი კოჩიევთან. დავსახეთ მუშაობის კონკრეტული გეგმა, ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განახორციელოს როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ. მოლაპარაკების შემდეგ მშვიდობიანად დავშორდით, მაგრამ... სამხედრო ნაწილის ტერიტორიას არც კი ვიყავით გაცილებული, რომ ჩვენს მანქანას წინ გადაეღობა ოს „ბოევიკთა“ ავტომატებით შეიარაღებული ჯგუფი. მინების ჩამსხვრევისა და შეურაცხყოფის შემდეგ მათ შემოაბრუნეს მანქანა და ცხინვალისკენ წაგვიყვანეს. გზაში გაგვჩხრიკეს, მანქანაც და ჩვენც... შემდეგ მე დამაშორეს კოლეგებს და თავმომწონედ დამატარებდნენ ცხინვალის ქუჩებში ადგილობრივი მოსახლეობის დასანახად.

ასე მოვხვდი ადგილობრივი ხელისუფლების თავმჯდომარესთან თეზიევთან, რომელსაც მოვთხოვე, რომ საუბარი გაგვეგრძელებინა ნორმალურ ატმოსფეროში, ტორეზ კულუმბეგოვის თანდასწრებით.

— ასე რომ, მაინც მოხდა თქვენი შეხვედრა კულუმბეგოვთან. რაო, რით გაიმართლა თავი ბატონმა ტორეზმა?

— სიმართლე რომ გითხრათ, თავისმართლებით მას თავი არ შეუწუხებია. ერთი კი თქვა, ცუდად ხომ არ მოგექცნენო. ეს იყო და ეს, სინანულიც კი არ გამოუთქვამს ამ ინციდენტის გამო.

— ბატონო ოლეგ, თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, ფლობს კი სიტუაციას ბატონი კულუმბეგოვი, და თუ ფლობს, როგორ ვერ უზრუნველყო ასეთი კეთილშობილური მისიით ჩასული მთავრობის წარმომადგენლის უსაფრთხოება?

— ასეთი კითხვა მეც გამიჩნდა. მან მიპასუხა, აქ ერთი თოფიც კი არ გავარდებაო ჩემთან შეუთანხმებლად. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილი ინციდენტი წინასწარ ყოფილა ჩაფიქრებული, მაგრამ არ ვიცი, რას აძლევდა ეს ოსურ მხარეს, რადგან ეს ხელს უშლის ურთიერთობათა გაღრმავებისა და გაფართოების იმ მიზანდასახულობებს, რომლებზეც ორივე მხარე შეთანხმდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ცხინვალში ყოფნის დროს.

— ბატონო ოლეგ, ცხადია, სათქმელად არის ადვილი, თორემ ყველამ ხომ კარგად ვიცით, რას ნიშნავს ოს ე. წ. „ბოევიკებთან“ შეხვედრა. ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, დამცირება ასეთ დროს, რომ იტყვიან, კაცი ხელს ჩაიქნევს კიდეც მიზანზე, რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც მას არ აძლევენ. თქვენ რას გვეტყვით, კიდევ აპირებთ გააგრძელოთ ასეთი მისიით ცხინვალთან ურთიერთობა?

— ჩვენ მშვიდობა გვინდა. თუ მშვიდობა არ იქნა, შეუძლებელია ვიფიქროთ რაიმე კეთილშობილურზე. ცხადია, დიდად ვარ შეურაცხყოფილი, დამცირებული, მაგრამ ის ზეამოცანა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ისახავს, გვავალდებულებს დავივიწყოთ პირადული და ხელი შევუწყოთ ძირითადს — საქართველოს ამ რეგიონში მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას.

მართლაც, რა დააშავა იმ ხალხმა, რომელიც ცხინვალში ჩამოსულ ბატონ ედუარდს ემუდარებოდა, სთხოვდა საქართველოს რადიოს თუ ტელევიზიის აღდგენას, გაზეთების შემოტანას. რა დააშავა აქ მცხოვრებმა ქართულმა თუ ოსმა მოსახლეობამ, რომელიც მოკლებულია ნამდვილ ობიექტურ ინფორმაციას.

ასე რომ, ჩვენს გასაკეთებელს აქ სხვა არ გააკეთებს, რადგან აქ საქართველოა და აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიტვირთოთ პასუხისმგებლობა ამ რეგიონში კავშირგაბმულობის მთელი სისტემის ხალხის სამსახურში ჩაყენებისთვის.

ესაუბრა
გია შელიძე.

ნომერში

◎ ხელისუფლება, რომელიც შეცდომის აღიარებას ვერ შეძლებს, განწირულია. — 2

◎ დაიწყო წვევამდელთა გაწვევა. — 2

◎ რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად. — 3

ინფორმაცია

ტელეფონით □ ტელეტაიპით

ჩამოიტანეს იმპორტული ხორბალი

გადმოიტვირთა 62-დან ბოლო ვაგონები, რომლებითაც იმპორტული ხორბალი ჩამოიტანეს თბილისის პურპროდუქტების კომბინატში ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან. საწარმოს რკინიგზის ჩიხში განვლილ შაბათსაც არ შეწყვეტილა მექანიზებული სამუშაოები, სამანევრო ჩათვლით. მოძრავი შემადგენლობიდან დაუყოვნებლად გადმოიტვირთა და დაბინავდა დაახლოებით 4,2 ათასი ტონა მარცვალი. კომბინატის დირექტორმა თამაზ გელაშვილმა და სატრანსპორტო განყოფილების უფროსმა ომარ კომახიძემ გვაცნობეს, რომ კომბინირებულ საკვებთან ერთად აქედან საქართველოს სასოფლო რაიონებს დღე-ღამეში ეგზავნება დაახლოებით 65–70 ტონა სხვადასხვა ხარისხის პურის ფქვილი.

რკინიგზის შემადგენლობა, რომელიც 14 მაისს ჩავიდა ფოთიდან ხაშურში, როგორც ეს ადრე შეგვატყობინეს, შემდეგ დანიშნულების პუნქტისკენ გამოემართა და უკვე იმავე საღამოს გადმოსატვირთად დადგა თბილისის წისქვილქარხანაში. ფოთელებმა მას დაადევნეს მეორე ხორბლით დატვირთული მატარებელიც.

◎

სესიის დახურული სხდომის შემდეგ

14 მაისს გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის დახურული სხდომა.

სხდომის შემდეგ უზენაესი საბჭოს პრესსამსახურმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ს. შამბა, ო. დამენია, ნ. აკაბა, ზ. აჩბა, ლ. ლაკერბაია, ს. ჯინჯოლია.

დეპუტატებმა ჟურნალისტებს უთხრეს, რომ სესიის დახურულ სხდომაზე იხილებოდა აფხაზეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. აქვე ითქვა, რომ სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართველი დეპუტატები.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, აფხაზმა და ქართველმა დეპუტატებმა ერთად უნდა იძებნონ კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზები.

◎

ბანდიტები თავს დაესხნენ კურსანტებს

თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები, რომლებიც დაბა ჭვარშში საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ, 18 მაისს ავტობუსით მიემგზავრებოდნენ ზუგდიდში. წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა, შეიარაღებულმა ათკაციანმა ბანდამ ტყვიებით დაცხრილა ავტობუსი. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ მსუბუქად დაიჭრა ერთი კურსანტი. ავტობუსის გაჩერების შემდეგ ბანდიტებმა ძალის გამოყენებით გაიტაცეს 2 ავტომატი და გაიქცნენ.

◎

იარაღი ბატალიონს დაუბრუნდა

18 მაისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბრუისიდან მთელი ღამე ისმოდა ავტომატების კაკანი. ხანგრძლივი სროლითა და უძილობით შეწუხებულმა მოსახლეობამ მეორე დილით შეიტყო, რომ მათი თანასოფლელის ოთარ კამკამიძის ბინაში ხარაგაულის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა და ჭიათურის გვარდიის წარმომადგენლებმა სამტრედიელი დათო ფუტურიძე და ძირულელი ზაურ გელაშვილი დაიჭირეს, მათ სხვებთან ერთად ჭიათურის გვარდიის ბატალიონზე თავდასხმის შედეგად 14 ავტომატი გაიტაცეს საბრძოლო ვაზნებიანად. ორგანოს მუშაკებმა გაათავისუფლეს ჭიათურიდან მძევლად წამოყვანილი ბრუისელი გურამ კამკამიძეც. ამ ოპერაციისას სამი ავტომატი და ორი ხელყუმბარა ამოიღეს. იმავე დღეს კი ხარაგაულის რაიონის სოფელ მაქათუბანში მცხოვრებ ჯემალ სეფისკვერაძეს და ყოფილ პრეფექტს თემურ ყურავას ოთხი ავტომატი ჩამოართვეს.

იარაღი უკლებლივ დაუბრუნდა ჭიათურის გვარდიის ბატალიონს.

ჰენრი შარიქაძე

მიტინგები სოხუმში

15 მაისს სოხუმში, ლენინის მოედანზე გაიმართა აფხაზეთის ქართველთა დემოკრატიული ძალების ხალხმრავალი მიტინგი, რომლის ორგანიზატორი იყო აფხაზეთში შექმნილი ქართული ეროვნული ერთიანობის საბჭო. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ მალხაზ პატარაიამ. სიტყვებით გამოვიდნენ პოეტები ჯანო ჯანელიძე და გენო კალანდია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი ზაურ ჩანჩიბაძე, რუსთაველის საზოგადოების წევრი დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს მდივანი ალექსანდრე ჯიქია, სოხუმის საქალაქო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გულივერ მელია და სხვები.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართველ დეპუტატთა სახელით მიტინგზე გამოვიდა და ამომრჩევლებისადმი მიმართვა წაიკითხა დეპუტატმა აკაკი გასვიანმა.

მიიღეს რეზოლუცია და მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი. რეზოლუციის ძირითადი მოთხოვნაა აფხაზეთის პარლამენტის და მთავრობის გადადგომა და ხელახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

იმავე დღეს, მოგვიანებით, სოხუმის საკათედრო ტაძართან გაიმართა საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის წმინდა ილია მართლის საზოგადოების, ქართველი საზოგადოებრიობის მიტინგი, რომელიც ანალოგიურ საკითხებს მიეძღვნა.

ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრმა დალი სილაგაძემ წაიკითხა ზ. გამსახურდიას მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი. მიტინგზე გაისმა მოწოდებები საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დაბრუნებისა და პარლამენტის თავის უფლებებში აღდგენის მოთხოვნით. მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ლენინის მოედანზე ჩატარებული მიტინგის ანალოგიურად ძირითადად შეიცავდა აფხაზეთის პარლამენტის და მთავრობის გადადგომის, უმართებულოდ მიღებული ყველა კანონის გაუქმების მოთხოვნას.

ორივე მიტინგს ძირითად ხაზად გასდევდა მოწოდება ქართველი ხალხის, ყველა სამართლიანად მოაზროვნე ადამიანის გაერთიანების, აფხაზეთში წარმოქმნილი არაორდინარული ვითარების დემოკრატიული მეთოდებით მოგვარების შესახებ.

იოსებ გოგეჩია,

მჯერა ჩემი ხალხის გონიერებისა

ამ დღეებში სამეგრელოში იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი თემურ ფიფია. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მას რეგიონში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ.

— **ერთი** კვირის მანძილზე ვიყავი სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში. ვითარება ადგილებზე არაერთგვაროვანია, თუმცა შეიმჩნევა სტაბილურობისაკენ სწრაფვის ტენდენცია. მოსახლეობა დაიღალა ამდენი ბრძოლით, დაუმდგრადი ვითარებით. მას სურს სიწყნარე, უსაფრთხოება და ეკონომიკური ცხოვრების მოგვარება. ახლა უმეტეს რაიონებში — აბაშაში, ხობში, მარტვილში, სენაკში სტაბილური მდგომარეობაა, იშვიათად იმართება მცირერიცხოვანი მიტინგები. ხალხი მუშაობს. სკოლები მოქმედებენ. ყველგან საგაზაფხულო სამუშაოები უკვე დასრულდა. ეკონომიკური ცხოვრების საერთო დაქვეითება აქაც ძალზე საგრძნობია, მაგრამ იგი პოლიტიკურ პრობლემებთან გადაჯაჭვული არ არის.

სულ სხვა მდგომარეობაა ზუგდიდსა და წალენჯიხა-ჭვარის ზონაში. აქ არ აჩვენებენ საქართველოს ტელევიზიას, ცუდად, ან საერთოდ არ მოდის პრესა და მოსახლეობა ინფორმაციას მოკლებულია. ამის გამო ჭორი და მეზღაპრეობა ფართოდ არის ფეხმოკიდებული და მიტინგების უმთავრესი საზრდოა. ხშირად ისეთ რამეს გაიგონებ, რომ არ იცი, იცინო თუ იტირო.

წალენჯიხაში ვითარება უკვე სტაბილური იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ რამდენიმე პიროვნება დააპატიმრეს, რომელთაც ბრალად ედებოდათ შეიარაღებულ წინააღმდეგობასა და ძარცვაში მონაწილეობა. როგორც ჩანს, ბრალდება არ იყო სავსებით საფუძვლიანი, თანაც მათი დაპატიმრება მოხდა შეუფერებელი მეთოდებით. ამან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. დაპატიმრებულთა ახლობლებმა დაიწყეს აქცია, რომელსაც კარგად გამოიყენეს ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა თავიანთი მიზნებისათვის. ვითარების ადგილზევე გარკვევის მერე — საქმის კურსში ჩავაყენე სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი. საკითხი დადებითად გადაწყდა და წალენჯიხაში აქცია შეწყდა. ვფიქრობ, იქ მალე კვლავ სტაბილური ვითარება იქნება.

რაც შეეხება ზუგდიდს, აქ არ მუშაობს საწარმოები — გარდა ენგურქაღალდკომბინატისა. სკოლები ამოქმედდა, თუმცა მასწავლებელთა ნაწილი გაიფიცა სოციალური საკითხების გამო. ღიაა მხოლოდ კომერციული მაღაზიები. თითქმის ყოველდღე იმართება დაახლოებით 300-კაციანი მიტინგი, თუმცა ეს მიტინგები ამ ბოლო დროს ქაოსური ხასიათისაა. მათში აღარ მონაწილეობენ ე. წ. „დაუმორჩილებლობის კომიტეტის" ცნობილი ხელმძღვანელები, ხოლო ისინი, ვინც დღეს აქტიურობს, არ სარგებლობს არავითარი ავტორიტეტით ქალაქში და მოსახლეობის უმეტესობის უკმაყოფილებას იწვევს. ოღონდ ეს არის, რომ არავის არ სურს ამ გაღიზიანებულ, იგზალტირებულ ხალხთან ურთიერთობის გამწვავება. მათი მხრივ კი ხშირია ფიზიკური თუ მორალური ტერორი. მაგალითად, ტყვიით დაცხრილეს ქალაქის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის სახლი, რადგან მისი სკოლა აქტიურად შეუდგა სწავლას. მიუვარდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს რამდენიმე წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს, რომლებიც მუშაობის დაწყებას აპირებდნენ. ამიტომ მოსახლეობა დაშინებულია, თუმცა მისი მოთმინების ფიალა უკვე ივსება. მომიტინგეთა ისეთი ლოზუნგების უაზრობა, როგორიც არის დაუმორჩილებლობა, მუშაობის დაუწყებლობა, სასწავლო პროცესის ჩაშლა, უკვე ყველას გაცნობიერებული აქვს.

ზუგდიდის ბატალიონის ერთ ნაწილთან, რომელიც ოფიციალურ საჯარისო სტრუქტურაში არ გაერთიანდა, მიმდინარეობს მუშაობა. ვფიქრობ, სამხედროები ერთმანეთთან საერთო ენას გამონახავენ, ხოლო მიტმასნილ ბანდიტთა ჯგუფს თავიანთი ხვედრი არ ასცდება. ამისთვის არსებობს საკმაო ძალები, თუმცა გადამწყვეტი მოქმედებისაგან გარკვეული მოსაზრებით ჯერჯერობით თავს იკავებენ.

რაც შეეხება სამეურნეო ცხოვრებას, ქალაქის გამგებლის — ოთარ ფაცაციას უდიდეს ავტორიტეტს და ძალისხმევას თავისი შედეგები მოაქვს. მისი მეოხებით მალე გადაწყდება ქალაქის პურით და შაქრით მეტნაკლებად დაკმაყოფილება. ასევე ამოქმედდა სამართალდამცველი ორგანოები, თუმცა კრიმინოგენური ვითარება მძიმეა.

უმწვავესი პრობლემაა ფულის ნიშნების საკითხი. მოსახლეობისთვის არ მოუციათ შარშანდელი ჩაის ფული, რაც ამჟამად აფერხებს ჩაის კრეფის დაწყებას. გაურკვეველია ისიც, თუ რამდენს გადაუხდიან მკრეფავებს წელს. ეს პრობლემები სასწრაფოდ მოსაგვარებელია და სათანადო ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ მათ გადასაწყვეტად.

— **გქონდათ თუ არა შეხვედრები იმ ადამიანებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ „დაუმორჩილებლობის კამპანიას"?**

— ჩემი ჩასვლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ მოისურვეს ჩემთან შეხვედრა. მინდოდა მათ დაედასტურებინათ, რომ ისინი მოუწოდებენ ხალხს არ გავიდნენ სამსახურში, არ დაამუშაონ მიწა, არ იმოქმედონ სკოლებმა, ე. ი. კისრულობენ პასუხისმგებლობას ამ პოლიტიკური აქციების შედეგებისთვის. როგორც ითქვა, ეს აქციები უკვე ძალზე არაპოპულარულია მოსახლეობის უდიდეს ნაწილში და ისინი დღეს მხოლოდ ფიზიკური და მორალური ტერორის გზით ხორციელდება. ასეთი ძალდატანება კი დასჯადია ნებისმიერ ქვეყანაში. მათ ეს კარგად იციან და არ სურთ აშკარად იკისრონ პასუხისმგებლობა. უნდა ითქვას ისიც, რომ მომიტინგეთა დიდი ნაწილი მასაა, რომელსაც ლოგიკური არგუმენტით ვერ დაიჭერებ და რომელიც უკვე თვითონ ახდენს თავის ლიდერებზე ზემოქმედებას. აქ უკვე ოხლოკრატიის ტიპურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამის გამო აღარ მონაწილეობენ „დაუმორჩილებლობის კამპანიის" ყოფილი ლიდერები მიტინგებში და ამიტომაც აარიდეს თავი ჩვენთან შეხვედრას. შევხვდი მხოლოდ ბატონ ზვიად კიტიას, იგი არის ზუგდიდის საკრებულოს მდივანი, რომელიც მართალია არ აღიარებს დღევანდელი ხელისუფლების კანონიერებას, მაგრამ ბრძოლას მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით აპირებს და ფიზიკური და მორალური ტერორის წინააღმდეგია. რაც შეეხება სხვა ლიდერებს, მათ უნდა ეყოთ ძალა სიმართლე უთხრან თავიანთ მომხრეებს. ფანატიკოსთა მასას კი საფანელი დიდხანს არ ეყოფა.

ნუ წამოვეგებით ვინმეს პროვოკაციებს, ნუ გავებრიყვდებით და ზურგში მახვილს ნუ ჩავცემთ ჩვენს დედასამშობლოს, რასაც შემდეგ ცოტნეთი და ჭყონდიდელით ვერ გამოვისყიდით.

— **თქვენი აზრით, რა ღონისძიებებია საჭირო, რომ პრობლემები საბოლოოდ მოგვარდეს და საქართველოს ამ კუთხეშიც დაიწყოს ნორმალური ცხოვრება?**

— ჩემი აზრით, ამისათვის ზუგდიდში და მთლიანად რეგიონში ზოგიერთი სოციალური და პოლიტიკური პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა იქნება საჭირო. პირველი; ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის პრობლემა აქ მხოლოდ საბაბია. ზუგდიდში ყველაზე უფრო მწვავედ იჩინა თავი მთელი სოციალისტური სისტემის კრიზისმა, სისტემისა, რომელიც იოტისოდენადაც არ შეუცვლია წინა ხელისუფლებას. აქაური აქტიური და ნიჭიერი ადამიანები ძალზე მწვავედ გრძნობენ წარმოების სოციალისტური წესის მუხრუჭებს. ადამიანებს უბრალოდ აღარ სურთ იმუშაონ სახელმწიფო საწარმოებში მაშინ, როცა ხედავენ, თუ რა დიდ წარმატებას აღწევენ კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები. ამიტომ პრივატიზაციის დაჩქარება, მიწების კერძო საკუთრებად გადაცემა იქნებ ყველაზე რეალური გზა იყოს აქ ვითარების სტაბილურობისაკენ.

მეორე; რა მძიმეც უნდა იყოს, აუცილებელია ამ ადამიანებთან დიალოგი. ამ ხნის მანძილზე მათ ხომ მხოლოდ იარაღის ენით ელაპარაკებოდნენ. მე ძალზე კმაყოფილი ვარ იმ შეხვედრებით, რომლებიც მქონდა მოსახლეობასთან, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტის ყველაზე აქტიურ მომხრეებთან. მათთან შეხვედრისას უფრო ნათლად ვიგრძენი ის შეცდომები, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ დაუშვა. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი შეცდომის აღიარება. ის ხელისუფლება, რომელიც ამის გაკეთებას ვერ შეძლებს, განწირულია. თავის მხრივ, ყოფილი ხელისუფლების მომხრეებმაც ბევრი რამ გაიგეს ამ შეხვედრებიდან და შესაძლოა შეარბილეს თავიანთი პოზიცია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანებთან მუშაობის შემდეგ მათი უდიდესი ნაწილი გაიგებს სიმართლეს და მის მხარეზე დადგება. მესამე გამოძიებულ უნდა იქნეს მოსახლეობის მიმართ ზუგდიდში ჩადენილი ყველა დანაშაული და დამნაშავენი საკადრისად უნდა დაისაჯონ. მეოთხე. საჭირო იქნება ამ რეგიონიდან გვარდიის ნაწილების გამოყვანა და იქ მხოლოდ რეორგანიზებული ადგილობრივი ბატალიონების დატოვება.

— **ბატონო თემურ! არსებობს აზრი, თითქოს სამი მხრიდან აპირებენ თბილისის მოხრჩობას და ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებას. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდეთ სამეგრელოს რეგიონიდან?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ეს საერთო-ეროვნული განსაცდელი გამოგვიყვანს ჩვენ გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისიდან.

რაც შეეხება ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებას, მხოლოდ უგუნური, ანდა ერის შეგნებული მტერი შეიძლება დღეს ამას ამტკიცებდეს. სამწუხაროდ, ყოფილმა პრეზიდენტმა იმდენი სიძულვილი დატოვა, რომ მისი დაბრუნება არავითარ ძალას, ყველაზე სატანურსაც კი არ ძალუძს; მაგრამ გარკვეული ძალები ბოლომდე შეეცდებიან მის გამოწურვას. ამ ძალებს მხოლოდ დროის მოგება სჭირდებათ: ორ-სამ წელიწადში ისინი ეკონომიკურ კრიზისს თავს დააღწევენ და კვლავ შეეცდებიან ჩვენთვის საერთო საბნის შეკვრას. მინდა დავაჯერო; ყოფილი პრეზიდენტი ბოლოსდაბოლოს მიხვდება, რომ იგი უკვე დიდი ხანია სათამაშოა ამ ძალების ხელში და თავისი „მოღვაწეობით" შესაძლოა ორჯონიკიძეზე უკეთესი „სახელი" მოიხვეჭოს, არა აქვს მნიშვნელობა, ამას იგი შეუგნებლად აკეთებს თუ შეგნებულად. შედეგი ის იქნება, რომ მისი „ბრძოლით" საქართველოს დააჩოქებენ. ამიტომ, თუ მას თავისი თავი მართლაც საქართველოზე უფრო მეტად არ უყვარს, იგი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს, რათა მისი სახელი საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციებისათვის არ გამოიყენონ. მან ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ ხელს იღებს პრეზიდენტობაზე და დატოვოს რუსეთის ტერიტორია (ნუ ვიტყუებთ თავს, რომ ჩეჩნეთი და რუსეთი ერთი და იგივე არ არის), მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მოლაპარაკების დაწყება ყოფილი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის მომავლის შესახებ. პირადად მე მზად ვარ წავიდე გროზნოში და ყველაფერი გავაკეთო მოლაპარაკების დადებითი შედეგის მისაღწევად.

უმთავრესი აქ ის არის, რომ განცხადება გადადგომის შესახებ უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, რომ მას აცდეს ერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდება. დღეს, როცა ერის ყოფნა-არყოფნა უმწვავეს პრობლემად დგას, თუ ბატონი იგი ამას არ გააკეთებს, მისი მოდგმა საუკუნო წყევლას და შეჩვენებას ვერ აიცილებს. მე ამას არავითარი პოლიტიკური მოსაზრებით არ ვაცხადებ. ეს არის რეალობა და მან იქნებ ერთხელ მაინც დაუჯეროს იმ ადამიანებს, რომლებსაც მისთვის ცუდი არასოდეს სურდათ.

ბოლოს, მე მინდა მივმართო ჩემი კუთხის შვილებს, რომ ამ უკიდურესი განსაცდელის ჟამს არ წამოვეგოთ ვინმეს პროვოკაციებზე, არ გავებრიყვდეთ და ზურგში მახვილი არ ჩავცეთ ჩვენს დედასამშობლოს, რასაც შემდეგ ცოტნეთი და ჭყონდიდელით ვეღარ გამოვისყიდით. მე მჯერა ჩემი ხალხის გონიერების და საერთო-ეროვნული ინტერესების ერთგულების.

— **გმადლობთ.** —

ესაუბრა
გია ჭელიძე.

აქტუალური ინტერვიუ

დაიწყო ჯარში გაწვევა

პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევის შესახებ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ კიტოვანის ბრძანება.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პირველ გაწვევასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში დაგროვდა მრავალი შეკითხვა, რომლებიც განმარტებას მოითხოვს. ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ თორნიკე პაპავას ეპასუხა ამ შეკითხვებზე:

— **ცნობილია, რომ 1992 წლის 1 მარტიდან საქართველოში გაუქმდა საბჭოური სამხედრო კომისარიატები. რა ახალი სტრუქტურები შეიქმნა მათ მაგივრად და რა ძირითადი ამოცანები და უფლებები აქვთ მათ?**

— სამხედრო კომისარიატების ნაცვლად თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველო, რომელსაც ჯარში გაწვევასთან ერთად დაეკისრა საჯარისო რეზერვების აღრიცხვა, სამობილიზაციო რეზერვების შექმნა, მათი მომზადება და სხვა სამხედრო ღონისძიებანი.

საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში შეიქმნა და ზემოაღნიშნული ამოცანების შესასრულებლად გამზადებულია სამხედრო განყოფილებები, რომლებმაც მიიღეს სათანადო მითითებები, დოკუმენტები და ბრძანებები გაწვევის თაობაზე.

სამხედრო განყოფილებები დაკომპლექტებულია ეროვნული მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლებით, უმრავლესობა ახალგაზრდობაა. მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ და გვწამს, რომ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, თავიანთ წვლილს შეიტანენ საქართველოს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების და შექმნის საქმეში.

— **მოსახლეობას აინტერესებს, თუ რა ძირითადი კანონებია მიღებული, რომლითაც თქვენ ხელმძღვანელობთ 1992 წლის გაწვევასთან დაკავშირებით?**

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 თებერვლის დადგენილებით მიღებულია დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების შესახებ". მიღებულია აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს დადგენილება „1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ". გამოქვეყნებულია თავდაცვის მინისტრის ბრძანება გაწვევის შესახებ.

— **რა სიახლე და ცვლილებებია წვევამდელთა გაწვევის დადგენილებაში?**

— ალბათ, სასიამოვნო სიახლეა ის, რომ სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა გახდა 12 თვე. გაწვევას კი დაექვემდებარებიან 1992 წელს 18-23 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.

— **რომელ წვევამდელებს ექნებათ სამხედრო სამსახურიდან გადავადების უფლება?**

— იმათ, ვინც სწავლობს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც დასწრებულ, ასევე საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე; გადავადება მიეცემათ აგრეთვე იმ წვევამდელებს, რომლებიც 1991-1992 სასწავლო წელს სწავლობენ კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში.

რაც შეეხება წვევამდელი ასაკის მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ საშუალო და სპეციალურ სასწავლებლებში, მათ ეძლევათ გადავადება სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 20 წლის ასაკისა.

— **მოხდება თუ არა გაწვევა სამაჩაბლოდან?**

— ყველასთვის ცნობილი რთული მდგომარეობის გამო ამ რეგიონში ჯერჯერობით გაწვევა არ ხდება. სტაბილიზაციის შემდეგ გაწვევა სამაჩაბლოდანაც იწარმოებს ჩვეულებრივი წესით: როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში.

— **ცნობილია, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ არც ერთი აფხაზი არ იმსახურებს აფხაზეთის ფარგლებს გარეთ. რას იტყოდით ამის შესახებ?**

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების თანახმად, მიღებულია გაწვევის ექსტერიტორიული პრინციპი, რაც სავსებით შეესაბამება საქართველოს ინტერესებს. ცხადია, ეს დადგენილება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სამწუხაროდ, გაწვევა აფხაზეთში უჩვეულოდ მიმდინარეობს, და იქ იქმნება შენაერთები ადგილობრივი წვევამდელებისგან.

— **საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა. ხომ არ შეექმნებათ არაქართველი ეროვნების წვევამდელებს სირთულეები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის გავლის დროს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო?**

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო ვარაუდობს, რომ სამხედრო სამსახურის გავლის დროს შეიქმნება ქართული ენის შემსწავლელი კურსები, სადაც არაქართველი წვევამდელები მოკლე ხანში აითვისებენ საჭირო სამხედრო ტერმინოლოგიას და სასაუბრო ენას. ამიტომ, ამ მხრივ მათ არ შეექმნებათ სერიოზული სიძნელეები.

— **შესაძლოა წვევამდელი ან სამხედრო მოსამსახურე იყოს მორწმუნე. რა არის ამ მხრივ გათვალისწინებული საქართველოს შეიარაღებულ ძალებში?**

— ნებისმიერი რელიგიის მიმდევარს შეექმნება ყველა პირობა შეასრულოს რიტუალი თავისი სარწმუნოების მიხედვით, ხოლო იმათთვის, ვისაც სარწმუნოება უკრძალავს იარაღის ტარებას, მომავალში გათვალისწინებული იქნება ალტერნატიული სამსახური.

— **იმსახურებენ თუ არა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ქალები?**

— საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი სპეციალობის მქონე ქალები შეიძლება გავიწვიოთ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

— **მიეცემათ თუ არა რიგით ჯარისკაცებს ხელფასი?**

— შემუშავებული პროექტის თანახმად, ხელფასი 300 მანეთამდე იქნება. ცხადია, რომ ფასების ინდექსაციის შეცვლის შემთხვევაში ეს თანხა შესაბამისად გაიზრდება.

— **ჩაეთვლებათ თუ არა სამხედრო მოსამსახურეებს საერთო სამსახურის სტაჟში შეიარაღებულ ძალებში სამსახურის პერიოდი?**

— ჩაეთვლებათ.

— **ექნებათ თუ არა რიგით ჯარისკაცებს შვებულება სამსახურის გავლის პერიოდში და ვისი ხარჯებით გაემგზავრებიან შინ?**

— ამჟამად სავალდებულო სამსახურის ვადა შემცირდა 12 თვემდე. აქედან გამომდინარე, შვებულებები, როგორც წესი, გათვალისწინებული არ არის. მაგრამ წარჩინებული სამსახურისთვის წახალისების სახით ნაწილის მეთაურს უფლება ეძლევა მისცეს ჯარისკაცს მოკლევადიანი შვებულება. რასაკვირველია, შვებულების ხარჯებს სამხედრო ნაწილი გაიღებს.

— **ბევრ მშობელს აინტერესებს სურსათის მწვავე დეფიციტის პირობებში როგორი იქნება კვება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში?**

— ყველამ კარგად ვიცით დღევანდელი სირთულეები, მაგრამ საქართველოს საზღვრებსა და საერთოდ ქვეყნის დამცველებისთვის ჩვენმა მთავრობამ გამონახა რეზერვები, რომლებიც დააკმაყოფილებს ჩვენს ჯარისკაცებს. მინდა მთელი პასუხისმგებლობით აღვნიშნო, რომ კვება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ იქნება ნაკლები, ვიდრე ყოფილ საბჭოთა არმიაში.

— **რა ძირითადი სამხედრო შენაერთები იქნება ჩამოყალიბებული საქართველოში?**

— ძირითადად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, კონცეფციის პროექტის თანახმად, ნავარაუდევია: სახმელეთო ჯარები, სწრაფი რეაგირების კორპუსი, სასაზღვრო ჯარები, სამხედრო საავიაციო და ჰაერსაწინააღმდეგო, სამხედრო საზღვაო ძალები.

— **რა კეთდება იმისთვის, რომ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ეცვათ გამორჩეული ეროვნული ფორმა და ჰქონდეთ ეროვნული განმასხვავებელი ნიშნები, წოდებები და სხვა ატრიბუტიკა?**

— ქართველმა დიზაინერებმა დაამუშავეს და უკვე წარმოებაშია ეროვნული სამხედრო სამოსელი, რომელიც მოიწონეს სპეციალისტებმა.

დამუშავებულია ჯარისთვის ყველა სახის ატრიბუტიკა და სიმბოლიკა. რაც შეეხება სამხედრო წოდებებს, იგი წარდგენილია სახელმწიფო საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად.

ესაუბრა
ლევან დოლიძე.

მოწოდება თანხმობისათვის

11 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გამართული მუდმივმოქმედი სემინარის „ეროვნებათაშორისი ურთიერთობა და ეთნოკონფლიქტები" მონაწილეებმა შიდა ქართლში პოლიტიკური სიტუაციის განხილვის შედეგად მიიღეს მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობისადმი, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობისადმი. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

საქართველოს რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა დაადგა დამოუკიდებელი სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მტკიცე კურსს, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურყევობას, მოქალაქეებისთვის კი, მათი ეროვნული, რელიგიური განსხვავებისა და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, დაცვასა და უფლებებისა და თავისუფლებების წახალისებას საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

იღვწის რა საერთო სტაბილიზაციისთვის, ხელისუფლება ღრმა ეკონომიკური კრიზისის, მოსახლეობის საარსებო დონის მნიშვნელოვანი დაქვეითების პირობებში შეგნებულად ვაურბის უკიდურეს ზომებს, არ აძლევს თავს უფლებას ჩაებას ავანტიურებში, რომელთა დამღუპველი შედეგების წინასწარმეტყველება ადვილია. აგრესიულ ექსტრემიზმსა და ნაციონალისტურ სეპარატიზმს უპირისპირებს სადავო საკითხების მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტის მეთოდებს. მას შემდეგ, რაც რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილებმა დატოვეს თავიანთი დისლოკაციის ადგილები ცხინვალის რეგიონში, საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ განახორციელეს ახალი ღონისძიებანი, რათა გამოეყენებინათ დასახული რეალური შესაძლებლობა სისხლისღვრის შესაწყვეტად.

თუ ფხიზლად შევაფასებთ შექმნილ რეალიებს, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებული კონფლიქტი ვერ ჩაქრება, თუ მონაწილეობას არ მიიღებს როგორც საქართველოს, ისე ოსეთის საზოგადოებრიობა, არ იქნება კონსტრუქციული სამოქალაქო ინიციატივები, რომელთა მიზანია გაუცხოების დაძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამანგრეველი ინსტინქტები, რასაც მოწმობს უკანასკნელი ექსცესები, ძალმომრეობის ესკალაციის პროვოცირებასთან რომ არის დაკავშირებული, სულ უფრო მეტ დანაკარგებსა და მწუხარებას მოუტანს ორივე ხალხს.

ვაცხადებთ რა, რომ საჭიროა გამოვიჩინოთ საღი აზრი და კეთილი ნება, ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვერც ოფიციალური ღონისძიებანი, ვერც ფართო საზოგადოებრიობის სამოქალაქო ინიციატივები, რაც უნდა კეთილშობილურ მიზნებს ისახავდნენ ისინი, წარმატებით ვერ დაგვირგვინდება, ვერ დამკვიდრდება კანონიერება და წესრიგი, სანამ არ განიარაღდება და არ დაიშლება ყველა უკანონო გასამხედროებული რაზმი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არ მიეცემიან დამნაშავენი, მთლიანად რეგიონი კი არ დაექვემდებარება განსაკუთრებულ კონტროლს, უზრუნველყოფილი არ იქნება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა.

საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაცია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ურთიერთობების კვლევის ცენტრი,
ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრი.

საქართველოს საზღვრები

რომან კვერენჩხილაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი.

საქართველოს საზღვრები მეტად მნიშვნელოვანი თემაა როგორც ისტორიული, ისე გეოგრაფიული მეცნიერებისათვის. ამ სფეროში სულ რამდენიმე შრომაა შესრულებული. მათ შორის თავისი სისრულით გამოირჩევა ივანე ჯავახიშვილის შრომა „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" (ტფილისი, სახელმწიფო სტამბა, 1919, წიგნში „ისტორიული რარიტეტები", თბილისი, 1989), რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

საქართველოს საზღვრების შესახებ მეტად საინტერესო შრომა შესრულდა საფრანგეთის ემიგრაციაში. მისი ავტორია ქართველი ხალხისათვის უკვე ცნობილი მოღვაწე **ალექსანდრე მანველიშვილი.** პროფესორმა გურამ შარაძემ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა მისი შრომების ბიბლიოგრაფია.

ა. მანველიშვილი დაიბადა მესხეთში, ახალციხის მაზრაში, 1904 წელს. მან დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტში ყოფნისას მისი მასწავლებლები იყვნენ დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, მიხეილ ზანდუკელი, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია და სხვები. 1930 წელს მან დატოვა საქართველო. პარიზში მოღვაწეობის დროს იგი გამოსცემდა საკუთარ გაზეთ „მომავალს" და ჟურნალ „ერის დიდებას". 60-იანი წლებიდან გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ალ. მანველიშვილი 14 წიგნის ავტორია, რომელთაგან ამჯერად დეტალურად განვიხილავთ „საქართველოს საზღვრებს" (პარიზი, 1938).

შრომა საინტერესოა გეოგრაფიული მეცნიერების თვალსაზრისითაც, რამდენადაც აქ მოცემულია საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების სწორი ანალიზი. ჩანს, ავტორმა გამოიყენა საქართველოს გეოგრაფიისა და ტოპოგრაფიის შესახებ შრომის დაწერის დროისათვის არსებული პუბლიკაციები. იგი კარგად ერკვევა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ თავისებურებებში, ამჟღავნებს საქართველოს გეოგრაფიის სრულ ცოდნას, კვალიფიციურად აფასებს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას. შრომის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორია ეთნოგრაფიულად და ეკონომიკურად ერთი მთლიანი ერთეულია. ათასეულ წელთა განმავლობაში ბრძოლებისა და თავდაცვის დროს გამოიკვეთა და განმტკიცდა იგი გარკვეულ ბუნებრივ საზღვრებში. იმის გამო, რომ ისტორიულად საქართველოს უმთავრესი მტერი სამხრეთიდან ჰყავდა, ცვალებადობას უმეტესად სამხრეთის საზღვრები განიცდიდნენ. მიუხედავად ძნელბედობისა და უამრავ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისა საქართველო ყოველთვის ახერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენარჩუნებინა და დაეცვა. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ სამხრეთ საქართველოს რაიონები წარმოადგენდა თურქეთსა და რუსეთს შორის გასაყოფ ტერიტორიას. ხან ერთი მხარე იტაცებდა ჩვენს მიწებს და ხან მეორე იბრუნებდა მათ. ასე იყო 1921 წელსაც, როდესაც მოსკოვმა ოსმალეთს გადაულოცა ჩვენი სამხრეთის ტერიტორიები: ფოცხოვის თემი (ახალციხის მაზრის ნაწილი), არტაანის, ოლთისისა და ართვინის მხარეები, აგრეთვე ბათუმის მხარის ნაწილი.

ავტორი აღწერს, რომ ჩრდილოეთით ქვეყანას აკრავს კავკასიონის მთავარი ქედი და მისი უმთავრესი განშტოებანი, სამხრეთით — ასევე თვალიანი მთების მთელი სისტემა ჩილდირის ტბიდან შავ ზღვამდე, დასავლეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი, რომლისკენაც საქართველოს ტერიტორია იხსნება. როგორც ცნობილია, ისტორიულად აღმოსავლეთით თავის სტრატეგიულ ხაზს საქართველო კასპიის ზღვით საზღვრავდა.

აღნიშნულ საზღვრებში საქართველოს მდებარეობა მეტად კვალიფიციურადაა შეფასებული. ავტორის მსჯელობა ზუსტი და სადღეისოდაც აქტუალურია. აი მისი სიტყვები: „ამ ბუნებრივ საზღვრებში მოთავსებული საქართველო ისეთი მთლიანობაა, რომ ყოველი უმნიშვნელო ნაწილის ჩამოცილება **ახახიჩრებს მთლიან ორგანიზმს; ის არღვევს გეოგრაფიულად, აკოჭლებს ეკონომიკურად, აზიანებს სამხედრო თავდაცვის თვალსაზრისით და ასუსტებს პოლიტიკურად".**

ავტორისეული დასკვნა აქტუალურია ამჟამადაც. ისტორიულად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და საზღვრების არა მკაცრი დაცვა ყოველთვის ქვეყნის მთლიანობის დარღვევისა და ეკონომიკური დაცემის საბაბი გამხდარა.

ალ. მანველიშვილის შრომაში მოცემულია საქართველოს საზღვრებისა და გეოგრაფიული მდებარეობის არა მარტო ზოგადად სწორი შეფასება, არამედ ამ საზღვრების დეტალური დახასიათება.

საქართველოს ტერიტორია მოქცეულია შავი და კასპიის ზღვების აუზებში. ტერიტორიის უმნიშვნელო, მაგრამ სტრატეგიული ნაწილი იქცევა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, კერძოდ მდინარეების: თერგის, ასას, არღუნის, ანდის, ყოისუს აუზებში.

საფრანგეთის ემიგრაციაში დასტამბული მასალების მიხედვით

ჩრდილოეთი საზღვარი ძირითადად კავკასიონის ქედს ემთხვევა. იგი იწყება იქ, სადაც მდინარე მაკოფსე შავ ზღვას ერთვის და სადაც მთავარი ქედი ძალზე უახლოვდება ზღვის ნაპირს. ავტორი დეტალურად აღწერს საზღვარს აქედან დაწყებული საინგილომდე. აღმოსავლეთი საზღვარი დახასიათებულია კავკასიონის ქედიდან ზამბახის მთებამდე და სამხრეთი საზღვარი ამ მთებიდან შავ ზღვამდე. ეს ის ისტორიული საზღვარია, რომელიც სახელმწიფოებრიობის აღმავლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დროს გააჩნდა საქართველოს.

იმის გამო, რომ უცხოეთის სახელმწიფოებთან დავისა და ბრძოლის საგანი უფრო ხშირად სამხრეთი საზღვარი იყო, ავტორი ძირითად ყურადღებას სწორედ სამხრეთი საზღვრის ანალიზს უთმობს, კონსტატირებულია ის ფაქტი, რომ საქართველოს დიდების ხანაში, XII საუკუნეში მთელი ამიერკავკასია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე საქართველოში შემოდიოდა. სომხეთის სამთავრო მაშინ ქართველთა უშუალო მფარველობაში იყო. საქართველოს გავლენის ზონაში შედიოდნენ ჩრდილოეთი კავკასიის ხალხები და სამხრეთით სელჯუკთა სასულთნოები. ამ დროს ქართველთა ვასალები იყვნენ თათართა სახანოებიც. თამარის მეფობის დროს მოხდა ყარსის აღება და ამრიგად საზღვარი მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედს გადასცდა. მაგრამ მონღოლთა ბატონობის დროიდან დაწყებული საქართველოს ძლიერება ნელ-ნელა ეცემა. ის მსოფლიოსაგან ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდა, ჩაიკეტა დასავლეთის გზა. ირან-ოსმალეთის მეტოქეობის ნიადაგზე იწყება საქართველოს ტერიტორიის დანაწილების პროცესი. უკვე XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი) მოექცა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ. საზღვრის ხაზი გადიოდა აჭარა-ახალციხის მთებზე და აღწევდა ბორჯომის ხეობამდე.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობა და ამ ტერიტორიის დაბრუნების იდეა-პრეტენზია ბოლომდე ცოცხლობდა ქართველი ხალხის შეგნებაში. ჩვენი ხალხის ეს კანონიერი სურვილი ნაწილობრივ ფრთებს ისხამს XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიული მისწრაფებების განხორციელების გზაზე. სწორედ ამ საუკუნეში მოხდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქართული მიწების ხელახალი გადანაწილება. ალ. მანველიშვილი წერს: „საქართველოს სამხრეთი საზღვრების საკითხი არ არის მისი ტერიტორიის მეტნაკლები სივრცის. დათმობის, არამედ ის არის მისი დამოუკიდებლობის სასიცოცხლო ფაქტორი. მაშასადამე — ის საკითხი საყურადღებო ხდება საერთაშორისო თვალსაზრისითაც, და ვინც საქართველოს დამოუკიდებლობით ნამდვილად არის დაინტერესებული, მას გვერდს ვერ აუხვევს. ხოლო არა ნაკლებ ანგარიში უნდა გაუწიონ საქართველოს ამ კანონიერ მოთხოვნილებას მისმა მეზობლებმა, ვინც იზიარებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და სურთ კეთილმეზობლური დამოკიდებულება".

ავტორს საინტერესო ციფრები აქვს მოყვანილი. იმის შედეგად, რაც ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ტერიტორიები, როგორც აღმოსავლეთით (ზაქათალის ოლქი), ისე სამხრეთით (ბორჩალოს მაზრის ნაწილი), აგრეთვე ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, ფოცხოვის თემი, ქვეყნის ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა. თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დაეთმო 19,5 ათასი კვადრატული კილომეტრი. ამრიგად, 1921 წლისათვის საქართველოს ფართობი შეადგენდა 71,6 ათას კვადრატულ კილომეტრს ნაცვლად 91,1 ათასი კვადრატული კილომეტრისა.

შრომაში მოცემულია საქართველოს ტერიტორიის ფართობის შედარებითი დახასიათება. ფართობის სიდიდით ამ დროისათვის იგი აღემატებოდა ევროპის სახელმწიფოებს: ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს, დანიას, შვეიცარიას, ჰოლანდიას, ბელგიას, ალბანეთს, ლუქსემბურგს და სხვ. მიუხედავად ტერიტორიის შემცირებისა საქართველო მთელ კავკასიაში მაინც ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ერთ მეტად საინტერესო საკითხზე, რომლის შესახებ ეკონომისტების, ისტორიკოსებისა და გეოგრაფების შრომებში, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი იწერება ხოლმე. როგორც ცნობილია, ყოველი რაიონი, ადგილი და მისი მიწის რესურსები ერთნაირი ღირებულებისა არ არის. ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, ნიადაგური საფარის ნაყოფიერებითა და, შეიძლება ითქვას, ბუნებრივი სიმდიდრითაც საქართველოს გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით, კერძოდ, ერთი **მეტრი მიწის ნაყოფიერებით გაუმართლებელია ერთმანეთს შევადაროთ მაგალითად საქართველო და იაკუტია, ანდა საქართველო და თუნდაც უკრაინა.**

ავტორის გეოპოლიტიკური მსჯელობა სავსებით სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველს ეყრდნობა. ალ. მანველიშვილი სავსებით მართებულად წერს, რომ „საქართველო მთელ კავკასიაში არის ძირითადი ერთეული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო თავდაცვის თვალსაზრისითაც, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ მთელი **კავკასიის ბედი იგივეა, რაც საქართველოსი.** ეს დამტკიცდა ისტორიულადაც. კავკასიის დანარჩენი ხალხები იმდენად იყვნენ ხოლმე თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო იყო ძლიერი და იცავდა სამხრეთის საზღვრებს. რადგან ეს იყო ასე, ამიტომ ქართველი მეფეები და სარდლები თვით საქართველოს თავდაცვის საქმეს მთელი კავკასიის, უმთავრესად კი ამიერკავკასიის მასშტაბით ანგარიშობდნენ ხოლმე".

წიგნში „საქართველოს საზღვრები" ავტორს დაბეჭდილი აქვს აგრეთვე პოლემიკური ხასიათის სტატია ჟურნალ „კავკასში" გამოქვეყნებული მასალების თაობაზე, აგრეთვე სტატია სამცხე-საათაბაგოს შესახებ და სხვ.

ალ. მანველიშვილის ჩვენთვის საინტერესო მეორე წიგნი „საკუთრება. მიწის საკითხი საქართველოში" (პარიზი, 1956) შედგება ორი გამოკვლევისაგან: „საკუთრება" (დაწერილია 1942 წელს პარიზში), „მიწის საკითხი საქართველოში" (დაწერილია 1934 წელს, ასევე პარიზში). შრომის მეორე ნაწილი, რომელიც მიწის რესურსებს აშუქებს, გარკვეულად სივრცობრივ-გეოგრაფიული ასპექტის მქონეა. იმის გამო, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს მიწა წარმოადგენს, მისი საკითხის განხილვა ყოველთვის ინარჩუნებს აქტუალობას. მართალია, ეს შრომა, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსისაა, მაგრამ აქ მოცემულია საქართველოს მეურნეობისათვის მუდამ აქტუალური საკითხის — მიწის ფონდის სრული ანალიზი, მათ შორის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების განხილვა.

საფრანგეთის ემიგრაციაში შესრულებული შრომები ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის მრავალმხრივ საყურადღებო საკითხებს შეიცავს. მათში განხილულ საკითხთა წრე მოიცავს სფეროს გეოლოგიიდან იდეოლოგიამდე. ამასთან ჯერჯერობით ამ შრომების მხოლოდ გამოქვეყნებული და ისიც არასრული ნაწილია ცნობილი. ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების შრომები, ჩანს, ხელნაწერების სახითაც არსებობენ და თავის მკითხველ-შემფასებლებს ელის.

განხილვას საქმე უნდა მოჰყვეს

15 მაისს გაიმართა ცხინვალის რეგიონის პრობლემათა საგანგებო სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა, რომელსაც ბატონი ნოდარ ნათაძე თავმჯდომარეობდა. განიხილეს ერედვი-ხეითის გზის მშენებლობის, იძულებით ადგილგადანაცვლებულ პირთა კვებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, აღრიცხვისა და მიყენებული ზარალის შესახებ ანკეტების ნიმუშების განხილვა-დამტკიცების საკითხები.

განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი ომარ ვარძელაშვილი, მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრი გურამ მირიანაშვილი, ტრანსპორტის მინისტრი ალექსანდრე ჩხეიძე, ინსტიტუტ „საქგაზმეცნიერების“ გენერალური დირექტორი თამაზ შილაკაძე, კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე ფრიდონ ინჯია; თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ლტოლვილებმა ფელიქს ქესანაშვილმა, მიხეილ ცოტნიაშვილმა, მარინე მეშვილდიშვილმა, ვაჭრობის სამინისტროს, ივანე მაჩაბლის საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ერედვი-ხეითის გზის მშენებლობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო სამუშაო დაიწყო, ადგილზე უკვე იმყოფება „საქავტოგზის“ თავმჯდომარის მოადგილე ტარიელ მღივნიშვილი შესაბამის სამსახურებთან ერთად.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ განისაზღვრა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, რომლის პროექტიც აპრილის დასაწყისში კომისიის და იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით მომზადდა, განიხილა და დამტკიცა მინისტრთა კაბინეტმა. კომისიამ სთხოვა სახელმწიფო საბჭოს შესაბამისი დეკრეტის მიღების დაჩქარება.

კონკრეტული დავალებები მიიღეს ვაჭრობის, განათლების სამინისტროებმა ლტოლვილთა მომსახურების, მათი ბავშვების სწავლების საკითხების მოსაგვარებლად. საქართველოს პროფკავშირთა კონფედერაციას ეთხოვა გამოუყოს ბავშვებს დასასვენებელი ბაზები საგზურები.

ჰენრი კუპრაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

თათრეთის პრემიერის მიმართვა

თათართა მსოფლიო კონგრესი გაიმართება ყაზანში 19-21 ივნისს. მრავალტანჯული თათარი ხალხის წარმომადგენლები, ნათქვამია რესპუბლიკის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და მსოფლიოს ხალხებისადმი თათრეთის პრემიერ-მინისტრის, კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარის გუბამად საბიროვის გამოქვეყნებულ მიმართვაში, განგების ძალამ გაფანტა მსოფლიოში, ისინი მოწყვეტილი არიან თავიანთი ეროვნული კულტურის ძირითად ცენტრებს. ამიტომაც დღეს თათრებისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონეა მშობლიური ენის, წესჩვეულებების, ტრადიციების განვითარების, ეკონომიკური, კულტურული და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობის გაფართოების საკითხები. ეროვნებათაშორისი ურთიერთობა თათრეთის რესპუბლიკაში სტაბილურია, აღნიშნულია მიმართვაში. სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ კონგრესის ორგანიზატორად მივიჩნიოთ რესპუბლიკის მთელი მრავალეროვანი ხალხი. კონგრესის მოწყობა საჭიროებს მატერიალურ ხარჯებს, და პრემიერ-მინისტრი დახმარებისათვის მიმართავს ყველას, ვინც სისხლითა და რწმენით არის დაკავშირებული თავის ხალხთან, ვისთვისაც არ არის სულ ერთი წინაპართა მიწის მომავალი.

ცენზურის გაუქმებას მოითხოვენ

არგენტინის ჟურნალისტთა 62 პროცენტს მიაჩნია, რომ სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში არსებობს პრესის ცენზურა. ასეთია არგენტინის გაზეთების, ყოველკვირეული გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოაწყო ჟურნალისტთა დარგობრივმა პროფკავშირმა. გამოკითხვის მონაცემებით, რომელიც მოეწყო დევიზით „ყველაზე უარესი აზრი დუმილია“, ჟურნალისტთა 28 პროცენტს ეჭვი ეპარება, რომ არგენტინაში არსებობდეს პრესის აბსოლუტური თავისუფლება და მხოლოდ ათი პროცენტია დარწმუნებული, რომ ცენზურა არ არსებობს. ამ აზრის მოწინააღმდეგეებმა თავიანთ პასუხში მაგალითად მოიყვანეს ის, თუ როგორ მოუხდათ მათ წასწყდომოდნენ მრავალ დაბრკოლებას, როცა შეეცადნენ გამოეძიებინათ და გამოექვეყნებინათ მთავრობის მოხელეთა შორის კორუფციის ფაქტები.

მსოფლიო კონგრესი გროზნოში

გროზნო. დამოუკიდებელი ჩეჩნეთის სახელმწიფოს შექმნის იდეას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში 17 მაისს დამთავრებულმა ჩეჩენთა და ინგუშთა პირველმა მსოფლიო კონგრესმა.

ამ წარმომადგენლობითი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა 800-ზე მეტი დელეგატი, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ბევრი რეგიონიდან და ახლო აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები. ჩეჩენთა და ინგუშთა პირველმა მსოფლიო კონგრესმა სპეციალურ მიმართვაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს მოუწოდა გაერთიანდნენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის. სტუმართა შორის კონგრესზე გამოვიდა საქართველოს ექსპრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად

ოპტიმალური ვარიანტი მისი ცხოვრების...

ვილენ მარდალეიშვილი



ქება პირველი — ახალგაზრდა მკითხველისა

ჩამოვჯდარიყო ჩემი ვაჟიშვილი დივანზე, გადაეშალა მცირეფორმატიანი თხელყდიანი წიგნი, კითხულობდა თავისთვის და თან თვალებში ღიმილიანი ეშმაკები უთამაშებდნენ — დავხედე წიგნს — ტარიელ ჭანტურიას ლექსების კრებულია.

—ნახე, ნახე, რას წერს!...

— რას წერს ამისთანას?!...

„კუმირები მამის — ლენინი და სტალინი! კუმირები შვილის— ლენონი და სტალონე! მამას ჰქონდა ერთ დროს ტალონები პურის! შვილს მეტი აქვს: ყველის, შაქრის, ხორცის ტალონი!“

— მოგწონს?-

— რაღაც სხვანაირი კია და...

— რა, სხვანაირი!...

— უცნაური, ნაღდი... აი: „ისე დამაკლდა ის გოგო თვალში, თითქოს ირმებით მოხატულ შპალერს სწორედ ის კიდე აახიეს, ძილის წინ რომ მიყურებდა ცქერა...“ აბა, ეს ნახე, ეს რა მაგარია... ეს ხომ ზეპირად ვიცი: „საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!...“

ქება მეორე — კრიტიკოსისაგან

ტარიელ ჭანტურიას „სხვანაირი“ ლექსი იმთავითვე გახდა ხელმოცარულ, დაქირავებულ კრიტიკოსთა, ვითომდა, თავის გამოჩენის შესანიშნავი საშუალება (ერთგან ჩვეული სარკაზმით ამბობს პოეტი მათზე: „დაკრიტიკობდა, დახტოდა, „მკრიტიკობელა“ პატარა“). ცხადია, ძნელი იყო მედროვე კალმოსნების შერიგება იმ სიახლეებთან, რომლებსაც პოეტი გვთავაზობდა. მაგრამ უმრავლესობა (რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე) დადებითად აფასებდა, მხარს უჭერდა პოეტის გაბედულ ძიებებს, რამეთუ ეს ყოველივე უახლესი ქართული პოეზიის წინსვლად ესახებოდა.

აი, რა მითხრა ერთხელ ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაზე ცნობილმა კრიტიკოსმა გოგი გაჩეჩილაძემ: „ტარიელის პოეზიაზე ორი წერილი მაქვს გამოქვეყნებული— „მდინარების საპირისპიროდ“ და „პოეტი დუელანტი“. ტარიელი ნოვატორი პოეტია, პოეზიის ტრადიციულ მდინარებას კი არ მიჰყვება ლაღად, არამედ აღმა მიცურავს, ქანცგაწყვეტამდე ირჯება... ძნელია აღმა მცლავის მოსმა, მაგრამ, სამაგიეროდ, სიამაყისა და სულიერი ამაღლების მომგვრელია.

ტარიელს სიტყვა ჰყავს დოლში გამოწვეული, ნიღაბი ჩამოხადა სტანდარტულ, გაცვეთილ, მნიშვნელობამოწყურულ სიტყვას და მისი პაროდირების გზას დაადგა. მკითხველისთვის, რომლის ყურთასმენა და გემოვნება ჩამოყალიბებული იყო ტრადიციებზე, ეს ყოველივე დამაბნეველია. მის პოეზიას უფრო მეტად ის აფასებს, ვინც გრძნობს ტარიელ ჭანტურიას მიერ მოწოდებული განწყობის, ემოციის კავშირს კრიზისულ დროსთან. ამიტომ, მისი ენაკვიმატობა ენამოსწრებულობის, ანდა გონებამახვილობის ფორმა კი არ არის, არამედ მსოფლმხედველობის ნიშანი. აი, მთავარი თვისება, რომლითაც იგი გამოირჩევა აღმა მცურავი პოეტების მცირე რაზმისგან. მთელი მისი პოეზია იმის ცდაა, ექსპერიმენტია, რომ დაუბრუნოს სიტყვას რეალური მნიშვნელობა, დაანახოს მკითხველს სიტყვის ნამდვილი, უნიღბო სახე. არ უნდა შეაშინოს მკითხველი იმან, რომ ამ ცდას ტარიელის ლექსში მინიჭებული აქვს თამაშის, გართობის, სილაღის ფორმა. ამ ლაღობის უკან ხომ ცხოვრების უღრმესი შრეების და საიდუმლოებების გაშიფვრის უსერიოზულესი წადილი იმალება.

ქება მესამე — ავტორისა

დღეს, როდესაც ამ არეულ დროში უმწვავესი პრობლემებით თავგზააბნეულთ პოეზიისათვის თითქოსდა დრო არ უნდა გვრჩებოდეს, მე პირადად მოუთმენლად ველოდები ტარიელ ჭანტურიას ახალი ლექსის გამოჩენას. ველოდები მათგან გამოწვეულ მოულოდნელობის ეფექტს, გონებამახვილობის კასკადს, რაღაც არაჩვეულებრივს, ახალ-ახალი მეტაფორებისა და რითმების ძიებასა და მიგნებას. და ეს ყოველივე მართლაც ჯიუტი სწრაფვაა მდინარების წინააღმდეგ. ვინც ტარიელ ჭანტურიას იცნობს, ვინც ამ კაცის ცინცხალი გონების ფასი იცის, აღარც უკვირს მისგან კალაპოტში ვერდატეული ლექსი თუ პუბლიცისტური წერილი, შეჩვეულია მის უზადო ირონიასა და იუმორს (ტარიელის ფსევდონიმია „ტია-ტია“, როდესაც რაიმე იუმორისტულს გვთავაზობს).

ერთხელ ამ ტია-ტიას გავურითმე, და აი, ასეთი ლექსპრომტი (მისი შექმნილი სიტყვაა — ექსპრომტისგან) შევკადრე ტარიელს:

შენი ლექსი, ტია-ტია, არც ისეთი დიადია, სალარაძე კითხულობდა, შუა გზაზე მიატია..

ეს ისე — მეგობრობისა და კეთილგანწყობის გამო...

მისი ლექსებიდან უმთავრესად სამშობლო გვიმზერს, მამულის, ერის ისტორია შემოგვყურებს, გმირი წინაპრების ქებათაქება იღვრება... სამშობლო — აღმავალი და დაცემული, დიდი ღამეებისა და დიდი დღეების გადამტანი:

დღისით — თმოგვის მეციხოვნე, ღამით — ფანასკერტელი ვარ!
ხვალ რომ ქვა ვარ საგურამო,
ზეგ — არმაზის კედელი ვარ!
ვისმა სისხლმაც წვეთწვეთობით,
ის მწვერვალი აათავა:
ლომი ცოტნე, ლომი დავით
და ბოკვერი — პაატა ვარ!

სამშობლოს წარსული, დღევანდელობა და მომავალი მისთვის ყველაფერია.

აი, რას ამბობს ერთგან: „ოპტიმალური ვარიანტი ჩემი ცხოვრების — მისთვის სიცოცხლე! ვიმეორებ — მისთვის სიკვდილი!“

ეფერება და ესათუთება პოეტი ცალკე გურიას (თვითონაც ხომ შუმი გურულია) და ცალკე სამეგრელოს, ცალკე იმერეთს და ცალკე ქართლ-კახეთს... ასეთი გახელება სამშობლოთი, მე პირადად, ალბათ ლადო ასათიანის ლექსში თუ მიგრძვნია: **„დიდება მამულს: ხერთვისს და რუსთავს; რუსთავს და ზადენს; ზადენს და ქუონდიდს... საქართველოსთვის ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით, და როცა მოვკვდით — ყოველთვის ვცხონდით!“**

ჩვენს მიწაზე დატრიალებულ ბოლოდროინდელ ტრაგიკულ მოვლენებს კი ასე დაუფიქრებია პოეტს:

„უკან იბრუნა საქართველოს ცხოვრების ჩარხმა... ხელი
კალამზე მიჩვეული,
აწვალებს ჩახმახს...რა თქვას
პოეტმა — რა იმღეროს
დაღლილმა ჩანგმა!— რაც
აღმა მიედინებოდა—
დის ახლა ჩაღმა...

• • •

1959-60 წლებში ახალგაზრდა პოეტსა და ჟურნალისტს ტარიელ ჭანტურიას ჩვენი გაზეთის რედაქციაში ლიტმუშაკად უმუშავია. მჯდარა სწორედ იმ ოთახში, სადაც ახლა მე ვარ.— ერთ დღეს, იმის გამო, რომ უპარტიოები ვიყავით, ათი კაცი შეგვამცირესო, — იგონებს ტარიელი.

ცხადია, მისი ნიჭისა და გაქანების შედეგი იყო და არა მხოლოდ გაზეთ „კომუნისტში“ ხანმოკლე მუშაობისა, როცა, ამ რამდენიმე წლის წინათ, ტარიელ ჭანტურიას რედაქტორობით გამოვიდა და მალე უზომო პოპულარობა მოიპოვა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გაზეთმა „მამულმა“ — იმ დროს ერთადერთმა ლეგალურმა „გაბედულმა“ გაზეთმა, რომელმაც ნაღდად შეუწყო ხელი ქართველი საზოგადოებრიობის ცნობიერების ამაღლებას, გვაგრძნობინა თავისუფალი აზროვნებისა და სიტყვის ფასი. თუმცა, ჩემი აზრით, მიუხედავად გამოკვეთილი ცხოვრებისეული პოზიციისა, ტარიელ ჭანტურიას გაუჭირდებოდა ბევრი რამის დაბეჭდვა „მამულის“ ფურცლებზე, რომ არა უბადლო ერისკაცი ბატონი აკაკი ბაქრაძე — იმ დროს პრეზიდენტი რუსთაველის საზოგადოებისა, დამაარსებელი „მამულისა“, ამომრჩევი რედაქტორისა...

• • •

ეს სევდაგარეული სტრიქონები მისი ერთ-ერთი ახალი ლექსიდან არის:

„შეჩვეული ვარ შექებას.
შეჩვეული ვარ ძაგებას;
შეჩვეული ვარ მოგებას;
შეჩვეული ვარ წაგებას.
შეჩვეული ვარ დანგრევას;
შეჩვეული ვარ აგებას;
გაჩენილი ვარ ტანჯვისთვის—
სამტროდ, საცემრად, საკებად...
ვწერ სიხარულებს! ვწერ
ტანჯვას!
ვწერ საღამო ხანს! ვწერ
დილით!
ცხოვრების წიგნი მთავრდება,
აკლია მხოლოდ წერტილი...

წაიკითხავს ამ სტრიქონებს ვინმე გურული და სინანულით გადააქნევს თავს: „სიბერე შეგპარვია ძამა, ტარიელო!... აბა, რა დროს ცხოვრების წიგნის დამთავრებაა...“

მართლაცდა! ბევრმა თუ არა, ზოგ-ზოგებმა ხომ მაინც ვიცით, რომ აგერ, ერთ თვეში, სამოცისა ხდება ტარიელ ჭანტურია. ჰოდა, ეცხოვროს კვლავაც — თავისი საყვარელი სამშობლოს დარად, ოღონდ, არა სამშობლოზე უკეთ, როგორც ამას ამბობს კიდეც ერთ-ერთ ლექსში. ხოლო, ჩვენი სამშობლო რომ ხვალ უკეთ იცხოვრებს, ამის იმედი ნუ მოგვეშალოს ქართველებს.

წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ!

მკითხველებმა კარგად იციან, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამას წინათ გამოქვეყნდა გამომცემლობა „სამშობლოს“ მუშა-მოსამსახურეთა წერილი, რომელშიც პასუხი იყო გაცემული გაზეთ „სარანგის“ ერთ პუბლიკაციაზე.

სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ (და ვფიქრობთ საბოლოოდ) ისევ გვიხდება თქვენი შეწუხება.

სიმართლე კი ასეთია

სანამ გაგრძელდება თავდასხმა გამომცემლობა „სამშობლოზე?“

„სარანგმა“ კვლავ შემოგვიტია. ამჯერად „რედაქციის სახელით“ წერილს ხელს აწერს ვინმე მერაბ თათელაძე. უპრიანი კი იყო ხელი მოეწერათ ყოფილი მთავარი ინჟინრისა და დირექტორის, ყოფილი წარმოების უფროსისა და საგამომცემლო მცირე საწარმოს „მარიხის“ სახელით.

სტატიაში სიტყვა-სიტყვითაა ჩადებული მთელი ფრაზები გამომცემლობის მუშაკთა ამასწინანდელ კრებაზე ნ. ობოლაძის გამოსვლიდან, სადაც ობიექტურად რომ ითქვას, წარმოების ყოფილი უფროსი მაინცდამაინც ყოჩაღად და მშვიდად ვერ გამოიყურებოდა.

და თუ რატომ უნდა ფიგურირებდეს ავტორთა შორის დანარჩენი ორიც, ამას ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

ალბათ, მკითხველს მოსწყინდა და ჩვენც აღარ გვსურს დირექტორის მოადგილეებზე ამდენი საუბარი, მაგრამ არ შეიძლება უპასუხოდ დავტოვოთ ზოგიერთი საკითხი. საგაზეთო კორპუსის უფროსი ჩვენს იქ მისვლამდეც სარგებლობდა დირექტორის მოადგილის უფლებით, ამჟამად კი ეს სტატუსი მას აღარა აქვს. და კიდევ, როცა მშენებლობის დარგში დირექტორის მოადგილეს რეზიდენცია შევუცვალეთ და ხოშარაულის ქუჩიდან კოსტავას ქუჩაზე გადმოვიყვანეთ, როგორც ჩანს, ზოგიერთმა ოპონენტმა ეს კარგად ვერ აღიქვა, აზარტში შესულმა თვლის დროს კიდევ ერთი თითი მოჰყვა და ამრიგად მოადგილეთა რიცხვიც ერთი ერთეულით გაიზარდა. ახლა მართლაც გვყავს წინათ არსებულ რაოდენობაზე ერთით მეტი, მაგრამ, როგორც ადრე ითქვა, ეს თანამდებობა შეიქმნა წიგნების გამოცემის სამსახურისადმი უკეთ ხელმძღვანელობის მიზნით და არც არავის აქვს უფლება ამ საქმეში შემოგვედაოს.

ასევე უსაფუძვლოა მტკიცება გაზეთ „რესპუბლიკური უწყებანის“ გაბერილი საშტატო განრიგის შესახებ. აქ 88 კაციდან 10 ხელშეკრულებით მუშაობს. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ სარეკლამო გაზეთს უფლება აქვს რეკლამებისა და განცხადებების მოპოვების მიზნით ხელშეკრულება დაუდოს გარეშე პირებს და გასამრჯელო სწორედ ამ მოზიდული სახსრებიდან აუნაზღაუროს.

ბოლოსდაბოლოს, საქმე შედეგით განიზომება და თუ ასე მივუდგებით ჩვენს გაზეთს, შარშან სამ თვეში (იგი ოქტომბერში დაარსდა) მან გამომცემლობას 168 ათასი მანეთი წმინდა მოგება მისცა, ხოლო წელს იგი 200 ათას მანეთს აღემატება.

და საერთოდ, როცა ოპონენტები ამდენ „ნაკლს“ ხედავენ, რატომ არავის სურს იმის თქმა, რომ გასული წელი მნიშვნელოვანი მოგებით დავამთავრეთ, ხოლო წლევანდელი პირველი კვარტალის შედეგები, მიუხედავად საბეჭდი კომპონენტების ათჯერ, ოცჯერ და ორმოცჯერ გაძვირებისა (ამას ზედ ემატება შარშან „სოიუზპეჩატის“ მიერ გაუთვალისწინებელი და გაუმართლებელი დაბალი სახელმწიფო ფასის დაწესება), არცთუ ისე ცუდად გამოიყურება.

ამა წლის მაისში ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამომცემლობა „სამშობლოს“ სახელმწიფოსაგან ერთი ტონა ქაღალდიც არ მიუღია, და მაინც, ვცდილობთ, რომ ძირითადი რესპუბლიკური გაზეთები რეგულარულად გამოვიდეს და საქართველომ ინფორმაციის შიმშილი არ იგრძნოს.

იქნებ ყველაფერი ეს თავისით კეთდება?

როცა „სარანგი“ დირექტორის თანამდებობიდან ჯ. ქარაზანაშვილის თითქოსდა უკანონო გათავისუფლებაზე წუწუნებს, ძალაუნებურად ხავსმოკიდებული კაცი გაგონდება. საკუთარი თავის განთავისუფლებაზე დაწერილი ბრძანება: ბრძანება კი არა, ბრძანების ბლანკზე დაწერილი პროტესტი ერთგვარი აქტის მომენტშიო, — წერს გაზეთი.

ჯერ ერთი, რომ ბრძანების ბლანკზე დაწერილი კი არა, დაბეჭდილია შავით თეთრზე, თავისი ნომერიც უზის და რიგითობის გათვალისწინებით საიმედოდაც არის ჩაკერებული ბრძანებების წიგნში.

და თუ მართლა ვინმეს პროტესტის გამოცხადება სურდა, ეს უნდა მომხდარიყო არა პუტჩის დამარცხების, არამედ ამბოხების დღეს, როცა ადმინისტრაციული სართულის ერთ-ერთ ოთახში რამდენიმე კაცი ჭიქას ჭიქაზე უჯახუნებდა შეძახილით — ჩვენი დღეც დადგაო!

რაც შეეხება რესპუბლიკის მაშინდელი მთავრობის ბრძანებათა თანმიმდევრობას გამომცემლობა „სამშობლოს“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გამგებლობაში გადასვლის, ძველი დირექტორის გათავისუფლებისა და ახლის დანიშვნის შესახებ, ცნობის სახით უნდა ითქვას, რომ სამივე ერთი და იმავე რიცხვით — 27 აგვისტოთია დათარიღებული, ხოლო რამდენი წუთის განსხვავებით არის დაწერილი თითოეული მათგანი, ეს იმან არკვიოს, ვინც ახლა დაინტერესებული.

დაკვირვებული თვალიც კი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ „სარანგის“ სტატიას ძირითადად ამოძრავებს ერთი დიდი მოტივი — რატომ გადაეცა ხოშარაულის ქუჩაზე მშენებარე კორპუსები იჯარით თვით გამომცემლობა „სამშობლოს“ ბაზაზე აღმოცენებულ გამომცემლობა „კაბადონს“ და არა „მარიხს“, რომელსაც თურმე სახსრები სხვაზე ათჯერ მეტი აქვს, მაგრამ შემოთავაზებულ წინადადებაზე — მიგვეცა მისთვის მშენებარე კორპუსში საწარმოს გახსნის უფლება — პასუხი არ ვაღირსეთ.

პასუხს ახლა მოგახსენებთ, კონკრეტულად და უფრო ფართო აუდიტორიის გასაგონად.

ხოშარაულის ქუჩაზე მშენებარე კორპუსები აშენებულია გამომცემლობა „სამშობლოს“ მშრომელთა ოფლით, მოგებით, დანაზოგითა და ჩანაფიქრით.

თუ ვინმეს ეკუთვნის იგი პრივატიზაციის შემთხვევაში, ალბათ, პირველ ყოვლისა გამომცემლობის მუშაკებს.

ჯერ კიდევ დიქტატორული რეჟიმის დროს ერთ-ერთი შენობა ისე უბოდიშოდ წაგვართვა ერთმა სოლიდურმა სამინისტრომ, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხეთ. საბედნიეროდ დროებითმა მთავრობამ შენობა საგანგებო დადგენილებით თავის ნამდვილ მფლობელს დაუბრუნა. ახლა ისევ წამოუყვეს თავი იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც ფული აქვთ, მაგრამ არავითარი შეხების წერტილი ამ შენობებთან არ გააჩნიათ. ერთი მათგანია საგამომცემლო მცირე საწარმო „მარიხი“. იგი გამომცემლობა „სამშობლოში“ უცხო სხეულივით გაჩნდა და უფრო მეტ სარგებელს იღებს მისგან, ვიდრე აძლევს. რამდენიმე თვის წინ, ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების წესით, წინადადება მივეცით, რომ დაეცალა ის ოთახები, რომელიც მას ჩვენთან უჭირავს, მაგრამ საიჯარო გადასახადს არ იხდის. ამასთან, ისიც ვაცნობეთ, რომ შეუძლია წაიღოს კომპიუტერები, რომლებიც თითქოს საიჯარო ქირის საფასურად დროებით სარგებლობისთვის გადასცა „სამშობლოს“. „მარიხი“ დუმს და არც წასვლას აპირებს.

„მარიხს“ თუ ფული აქვს, ღმერთმა მისცეს და მშვიდობაში მოახმაროს, ოღონდ... გამომცემლობა „სამშობლოს“ გარეთ.

რაც შეეხება „კაბადონს“, იგი გამომცემლობა „სამშობლოს“ ბაზაზე შეიქმნა. მისი დამაარსებლები გამომცემლობის ვეტერანი სპეციალისტები და ოსტატები არიან. „კაბადონმა“ ასეთი მიზანი დაისახა: გააფორმოს იჯარა, დაამთავროს მშენებარე შენობები, დაამონტაჟოს იქ ზოგიერთი ძველი და ახალი ტექნიკა, შექმნას წიგნების, ჟურნალ-გაზეთების აწყობისა და ბეჭდვის სრული ციკლი და ფართოდ გაუღოს კარი გამომცემლობა „სამშობლოს“ იმ სპეციალისტებს, რომლებიც იქ მუშაობას ისურვებენ. მართალია, საინიციატივო ჯგუფში თავდაპირველად ექვსი კაცია, მაგრამ მასში თანაბარი უფლებით და თანაბარი წილით შეუძლია შესვლა გამომცემლობის ყველა კეთილსინდისიერ მუშაკს.

რას ვითვალისწინებდით, როცა საინიციატივო ჯგუფის მიმართ ამ დათმობაზე წავედით? პირველყოვლისა იმას, რომ გადაგვედგა ერთი ნაბიჯი გამომცემლობა „სამშობლოს“ დემონოპოლიზაციისათვის.

მეორეც, პრივატიზაცია სახელმწიფოს საქმეა და მის გადაწყვეტილებას წინ ვერავინ აღუდგება. და როცა ეს მოხდება, ჩვენი სურვილია — უპირატესი უფლება ამ შემთხვევაში გამომცემლობა „სამშობლოს“ მშრომელებს მიეცეთ.

მეტი წონა რომ მიანიჭოს მტკიცებას, გაზეთი „სარანგი“ არც ფაქტების გაყალბებას ერიდება და არც მსჯელობის მისთვის სასურველი, მაგრამ არაობიექტური კალაპოტით წარმართვას. ქონება, რაზეც ლაპარაკია ხელშეკრულებაში, ფიქსირებულია შემდეგი მონაცემებით: საგნის დასახელება, გამოშვების წელი, ექსპლოატაციის ხანგრძლივობა და საწყისი ფასი. აი, ის ხუთი მილიონი სწორედ საწყის ფასთა ჯამია და არავითარი შეღავათები მის უკან არ იმალება.

როცა იჯარის ხელშეკრულება ფორმდება, სხვა მონაცემები აქ საჭირო არ არის. სულ სხვაა პრივატიზაცია, როცა თითოეული ობიექტის თუ მანქანა-დანადგარის რეალურ ფასს ადგენს თვით სახელმწიფო კომისია. და, რა უფლება გვქონდა ან რა საჭირო იყო შეგვეფასებინა რეალური ღირებულება იმ მანქანებისა თუ მანქანა-დანადგარებისა, რომელიც „კაბადონს“ იჯარით გადაეცა. მაშინ ხომ უფრო მეტ ეჭვს შეიტანდნენ ჩვენს ობიექტურობაში ისე, როგორც ეს მოხდა ამას წინათ გაყიდული ორი ავტომანქანის გამო. აი, ამის თაობაზე არ შეიძლება არ ვთქვათ ორიოდე სიტყვა: „სარანგს“ არ სურს ესა თუ ის მასალა ობიექტურად შეისწავლოს და თავისი კალაპოტით მიარაკრაკებს.

ავტომანქანების გაყიდვას ჩვენ აუქციონებზე არ ვაპირებთ. ის ორი ავტომანქანა, რომლებსაც ასე ებღაუჭებიან ჩვენი ოპონენტები, გამომცემლობის თანამშრომლებს შევასყიდეთ ზემდგომი ორგანოების მითითებით და განკარგულებით. თუ რატომ, ეს მათ ჩვენზე კარგად იციან, ხოლო ღირებულება შესაბამისად — 10 და 27 ათასი მანეთი განსაზღვრა ხუთი კაცისაგან შემდგარმა კომისიამ, რომელიც ეყრდნობოდა ამისათვის სპეციალურად ვაჭრობის სამინისტროდან მოწოდებულ პრეისკურანტსა და კოეფიციენტს (აქ გათვალისწინებული იყო ავტომანქანების ცვეთა, ამასთან, სამინისტროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული ახალი ფასები).

ამგვარი „კრიმინალის“ ძიებამ, აგრეთვე „კაბადონისა“ და „სამშობლოს“ ხელშეკრულების ქსეროასლის ხელში ჩაგდების შემდეგ ჯ. ქარაზანაშვილი მიიყვანა გამომცემლობის კანცელარიამდე ხელშეკრულების ბოლო ფურცლით ხელში. კანცელარიის მმართველმა ე. ყიფიანმა აუხსნა, რომ ეს შეცდომა პირადად მას მოუვიდა — დაუფიქრებლად დაარტყა გამომცემლობა „სამშობლოს“ ბეჭედი ორივე მხარის ხელმოწერებზე, მაგრამ ეს ფურცელი ახლა ხელახლა იბეჭდება და შეცდომა დღესვე გასწორდებაო. სტუმარი არ დააკმაყოფილა ამ პასუხმა და „ნადავლი“ გადასცა მ. თათელაძეს, რომელმაც აქედან შორს მიმავალი დასკვნები გააკეთა.

ჩვენ გვინდა ხმამაღლა განვაცხადოთ როგორც ოპონენტების, ისე მკითხველთა გასაგონად: ნურავინ ცდილობს ეძიოს კრიმინალი და დანაშაული ჩვენს საქმიანობაში. აღარ გამეორდება ძველი დრო, როცა აქ ტაშკენტთან იდუმალი გარიგებით, მალულად ამზადებდნენ ცელოფანის პარკებს, ან ასეთივე ქვენაგრძნობით საუკეთესო ხარისხის უზარმაზარი რაოდენობის ქაღალდს იყენებდნენ გროზნოს დაკვეთით მაჰმადიანური კალენდრის მასობრივი ტირაჟის დასაბეჭდად. სხვათა შორის, ყველას ყველაფერი ახსოვს. ახსოვთ ისიც, რომ ამ დარღვევებისათვის ახლანდელმა ოპონენტმა და გამომცემლობის მაშინდელმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ორჯერ ისეთი სასჯელი დაიმსახურა, რომ იმის იქით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ან მგლის ბილეთით სამუშაოდან დათხოვნაა.

სამწუხაროა, რომ „სარანგმა“ განქიქების საგნად აქცია გამომცემლობის ხელმძღვანელობის უანგარო ზრუნვა ამ საწარმოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის. რატომ მარტო კვერცხი და კარტოფილი?! ამ ათიოდე დღის წინ ხელშეკრულება გავაფორმეთ ლაგოდეხის ერთ-ერთ მეურნეობასთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულებით მეურნეობა გამომცემლობას ყოველთვიურად მოაწვდის ოთხ ტონა ყველს (ერთ სულზე ოთხ კილოგრამს) უაღრესად შეღავათიან ფასად, აგრეთვე ბოსტნეულს, ქათამს, ხორცს, ყურძენს და ა. შ. ჩვენი გამოანგარიშებით ეს შეღავათიანი ფასები, მეტს თუ არა, ხელფასის ერთ მესამედს მაინც დაუზოგავს გამომცემლობის მუშაკებს. განა ადამიანზე ზრუნვის გამოვლინება არ არის ის, რომ ყოველ დილით მუშები სამუშაოზე საკუთარი ავტობუსებით გადმოგვყავს ან ისიც, რომ ბოლო თვეების მანძილზე თუ რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებს ხელფასი ორჯერ მოემატათ — საერთო ანგარიშით 156 პროცენტის ოდენობით, ჩვენთან ეს აქტი სამჯერ განხორციელდა და შესაბამისად მისი საერთო მაჩვენებელი 250 პროცენტია.

არა, ეს პოპულაცია არ არის. იგი საწარმოს მართვის ჩვენეული კომპლექსური პროგრამის ერთი შემადგენელი ნაწილია.

ეს კი ძველი ხელმძღვანელობისათვის უცხო და უჩვეულოა. შეგვიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, ისინი ამას ვერ შეძლებდნენ, რადგან იმის მაგივრად, რომ აქეთ მოეცათ, მუშებს იქით ართმევდნენ.

ჩვენი ნათქვამი რომ ლიტონი სიტყვები არ იყოს, გაგაცნობთ ერთ ნაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის „წარდგინებიდან გამომცემლობაში გამოვლინებული კანონმდებლობის დარღვევების აღმოფხვრის შესახებ“: „1990 წლიდან მოყოლებული გამომცემლობამ დაიწყო კოოპერატივების, მცირე საწარმოების და სხვა გარეშე ორგანიზაციების შეკვეთით, სახელშეკრულებო წესით წიგნებისა და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვება, რასაც თან ახლდა მთელი რიგი დარღვევები...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პრემიების გაცემისას დაშვებული მეტად უხეში დარღვევების შესახებ. კერძოდ, გამომცემლობის საწარმოო განყოფილების მაშინდელი უფროსი ნანული ობოლაძე (1991 წლის 4 დეკემბრიდან იგი გადაყვანილია მთავარი ტექნოლოგის მოადგილედ), რომელსაც ადრინდელი ხელმძღვანელობის მიერ მინდობილი ჰქონდა სახელშეკრულებო წესით გამოსაცემ წიგნებზე შეკვეთის გაფორმება (უფრო მეტიც, ზოგჯერ იგი ხელშემკვრელ მხარედაც კი გამოდიოდა ხელმძღვანელობის ნაცვლად) და წიგნის გამოცემის გამო მუშაკთა პრემირება, ადგენდა (ძირითად საამქროებიდან წარმოდგენილი სიების მიხედვით) ნაკრები უწყისის პროექტს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პრემიის თანხების გაცემის შესახებ, რის შემდეგაც დამკვეთი აფორმებდა ანალოგიურ უწყისს და იგი შესაბამის ნაღდ ფულთან ერთად ხელზე მიჰქონდათ ნ. ობოლაძესთან. ეს უკანასკნელი გამომცემლობის სალაროს გვერდის ავლით ანაწილებდა ფულს, ხელმოწერილ უწყისს კი უბრუნებდა დამკვეთს. ყოველივე ეს, ცხადია, ქმნიდა სხვადასხვა დარღვევების პირობებს (თანხის გარეშე პირთაგან დატაცებას ან იმ პირთა მიერ მითვისების ჩათვლით, ვისაც მინდობილი ჰქონდა მისი გაცემა რაიმე ხელწერილის გარეშე). შემოწმებით დადგინდა ამგვარი დარღვევის მრავალრიცხოვანი ფაქტები.

საკუთრივ პრემიების განაწილებისას სამართლიანობის პრინციპის დაცვა ნაკლებად ხდებოდა— ფაქტობრივად პრემიები ნაწილდებოდა არა შეკვეთილი წიგნის დროულად და ხარისხიანად გამოცემაში შეტანილი კონკრეტული წვლილის მიხედვით, არამედ, არსებითად თანამდებობის შესაბამისად. ასე, მაგალითად, ჩვენს მიერ გამოკვლეული 9 უწყისიდან 8-8-ში შეყვანილი არიან დირექტორი ვ. ესვანჯია, მთავარი ინჟინერი ჯ. ქარაზანიშვილი და დირექტორის მოადგილე ი. ლასაჩენკო. დირექტორის მიერ მიღებული თანხის ოდენობა მერყეობს 170-დან 200 მანეთამდე, მთავარი ინჟინრის და დირექტორის მოადგილის 150-დან 200 მანეთამდე. თვითონ ნ. ობოლაძე პრემიებს იღებდა თითქმის ხელმძღვანელების თანაბრად, ამასთან, მათზე უფრო ხშირადაც კი. ცალკეულ შემთხვევაში პრემიები გაცემულია ისეთ პირებზეც კი, რომელთაც ნაკლები შემხებლობა ჰქონდათ შეკვეთილი წიგნების დროულად და ხარისხიანად გამოცემასთან. კერძოდ, პრემიები მიეცათ ბუღალტერიის თანამშრომლებს, ეკონომისტებს და თვით კადრების განყოფილების უფროსს დ. ქავთარაძესაც კი— თითქოსდა ამ საქმიანობის „კადრების უზრუნველყოფის საქმეში გაწეული წვლილისათვის“ (როგორც განმარტა ნ. ობოლაძემ). ეს მაშინ, როცა, ცალკეული შემთხვევების გარდა, უშუალოდ შემსრულებლები (მუშები და ოსტატები) ღებულობდნენ მეტწილად 50-100 მანეთს“.

„წარდგინება“ დათარიღებულია 1992 წლის 14 მაისით და ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ა. ლომიძე.

პროკურატურის წარდგინება, რომელშიც სხვა კიდევ სერიოზული დარღვევებია აღნუსხული და გაანალიზებული, თვით საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დავალებით ამ დღეებში უნდა გავაცნოთ გამომცემლობის მშრომელებს, რათა მათთან ერთად დაისახოს მითითებული დარღვევების აღმოფხვრისა და მომავალში ანალოგიური მოვლენების თავიდან აცილების გზები.

ასეთია ფაქტები. ხოლო რაკი ჩვენი არ სჯერათ, ლოგიკური დასკვნის გამოტანა თვით ბატონ მერაბ თათელაძისა და მისი თანაავტორებისათვის მიგვინდია.

ბოლოს, გულახდილად გვინდა გამოვუტყდეთ მკითხველს: გვიჭირს, ძალზე გვიჭირს, რადგან მაშინ, როცა ამდენი თავსატეხი და საზრუნავი გვაქვს, ძველი ხელმძღვანელები (სამუშაოდან გათავისუფლებულნიც და დაქვეითებულნიც) თითქმის ყოველდღიურად იკრიბებიან გამომცემლობის შენობაში, სადაც ჩვენს მეზობელ ოთახში სახავენ გეგმებს ძველ ადგილებზე დასაბრუნებლად, ცდილობენ ზოგიერთი მუშაკის სიცრუის ქსელში გახვევას (თუმცა მადლობის მეტი რა გვეთქმის აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ, რომლებიც მტკიცედ დგანან ჩვენს გვერდით), ეძებენ ანალოგიურ კრიმინალურ მოვლენებს, ადრე მათ მუშაობაში რომ იყო. მართალია, ვერ პოულობენ, მაგრამ რაოდენ ძვირად გვიჯდება ნერვიული დაძაბულობიდან გამოსვლა და წონასწორობის შენარჩუნება!

და მაინც, მკითხველს აღვუთქვამთ: მეტს აღარ შევაწუხებთ თავს ჩვენი პასუხით, რაგინდ ცილისმწამებლური პუბლიკაციაც უნდა გამოქვეყნდეს მომავალში ნებისმიერ გაზეთში.

ნოდარ ჯაველიძე — გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი, **იუზა ლორია** — დირექტორის მოადგილე, **თამაზ კვაბზირიძე** — მთავარი ინჟინერი, **ჯემალ ხუჯაძე** — დირექტორის მოადგილე, **ვალერი ძნელაძე, დემურ ჩანთარია** — ლინოტიპისტები.

მხატვარი მონუმენტალისტი



გიორგი ხუციშვილი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი ვახტანგ ქოქიაშვილი უკვე ოცდაათი წელია, რაც მონუმენტურ მხატვრობაში მოღვაწეობს. იგი ამ საქმის პიონერია. მისი ტექნიკური არსენალის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ესაა ვიტრაჟები, ფერწერა, მოზაიკა, მინანქარი და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თანაბარი ძალით მუშაობს, როგორც მონუმენტურ მხატვრობაში, ასევე ფერწერაში, გრაფიკაში, პლაკატის დარგში.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ვ. ქოქიაშვილი ახლისკენ მიისწრაფის. მის შემოქმედებაში ვერ დავასახელებთ ორი ერთნაირი ფორმის ან კოლორიტის მქონე ნამუშევარს, თუმცა ყოველ მათგანს გამჭოლ ხაზად გასდევს ერთიანი პროგრამა, რაც თვითმყოფადობას და განუმეორებლობას ანიჭებს მათ. ამის დასტურია: ვიტრაჟები სასტუმრო „ივერიაში“ (1967 წ., ბროლი, პლასტმასა. 300 სმ X 500 სმ); მრავალფიგურიანი მოზაიკური პანო „ხევსურული ქორწილი“ 1969 წ., და მრავალი სხვა.

ხალხური შემოქმედებიდან იგი განსაკუთრებით კარგად იყენებს თუშური თექის ფენომენალურ ხასიათს.

კიდევ უფრო გამოიკვეთა ვ. ქოქიაშვილის ხელწერა ბოლო დროის ნამუშევრებში (ესენია ვიტრაჟები ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში და სასტუმრო „მეტეხში“), აგრეთვე ფერწერაში და მინანქარში.

ვიტრაჟების ფერადოვნება დღის განმავლობაში ცვალებადია. ფერის ასეთი დინამიურობა ფერადი მინის განუსაზღვრელ სიმდიდრეზე და შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს. ვიტრაჟების განლაგება შენობის ოპტიკურ ეფექტს ზრდის და სიმყუდროვეს ანიჭებს მას. ამასთან ვიტრაჟი ღამის განათების დროსაც „მუშაობს“ ქუჩის მხრიდან, ასე რომ, „ღამის ეფექტის“ მეოხებით შენობა ქალაქთან კონტაქტს ამყარებს.

მონუმენტური მხატვრობის სპეციფიკა ფორმის განსაკუთრებულ წყობას მოითხოვს: კომპოზიციის ლაკონიურობას, მკვეთრ და განზოგადებულ ნახატს, დიდ ფერადოვან მასას, რაკურსების და პერსპექტივის შორი მანძილიდან სხვადასხვა კუთხით ხედვას. მან დროს უნდა გაუძლოს. სწორედ ასეთ კომპოზიციებს ქმნის ვ. ქოქიაშვილი. იგი ფერმწერია და განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვიტრაჟების ფერწერულობა, ფერადოვნება. დიდი ძალისხმევაა საჭირო ასეთი ეფექტის და მთლიანობის მისაღწევად, მით უფრო, რომ ვ. ქოქიაშვილი ყოველივეს საკუთარი ხელით ასრულებს.

ცალკე საუბრის თემაა ამ ნამუშევრების თანამედროვე ფორმა, მათში საგნების, ფიგურების თუ მათემატიკური ფორმულების გამოსახულება აღიქმება სიმბოლურად, რითაც ნაცვლად სინამდვილის ზედაპირული ასახვისა, ტრანსფორმირებულ რეალობას აღწევს. სწორედ ამ სირთულით და სიახლით იმსახურებს ვ. ქოქიაშვილი პროფესიონალთა ყურადღებას. ამ მხრივ აღსანიშნავია სასტუმრო „მეტეხის“ შედარებით მომცრო ვიტრაჟები შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის თემაზე. ასევე ფერწერული პანოები რესტორნის ცენტრალური დარბაზისათვის, რომელიც მან თუშური მოტივების თემაზე შექმნა. მისი ეს კონცეფცია ფრიად საინტერესო და მოულოდნელი გახლდათ.

საყურადღებოა ასევე კლასიკური მინანქრის ტექნიკით შექმნილი პანო ისტორიული თბილისის გრავიურის თემაზე, რომელიც შესრულდა მინანქარის საერთაშორისო სიმპოზიუმზე უნგრეთში საგანგებოდ სასტუმრო „მეტეხისათვის“ და რომელსაც იქაური პრესაც გამოეხმაურა. ამ პანოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლე იშვიათობაა მსგავსი სიდიდის ნაწარმოებისათვის.

ამა თუ იმ ნაგებობისათვის განკუთვნილი ეს ნამუშევრები თავისი მაღალმხატვრულობით არა მარტო ალამაზებენ და ამდიდრებენ იქაურობას, არამედ „ადამიანურ“ და განსაკუთრებულ გარემოსაც ქმნიან, ამავე დროს დასრულებულ იერს აძლევენ არქიტექტურას.

ხელოვნების ისტორიაში მხატვრის ადგილი განისაზღვრება მხოლოდ ნაწარმოების ხარისხით. ვ. ქოქიაშვილმა არაერთხელ დაამტკიცა მაღალი პროფესიულობა და ამით დიდი სამსახური გაუწია თანამედროვე ქართულ მონუმენტურ მხატვრობას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დ. გურამიშვილის საიუბილეოდ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 200 წლისთავის აღნიშვნის ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებით დამტკიცებულია საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა და მისი მომწყობი კომისიის შემადგენლობა.

ამ თარიღთან დაკავშირებით განხორციელდება დიდი პოეტის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა, ასევე „დავითიანის" ავტოგრაფიული გამოცემა. მკითხველები მიიღებენ დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ მასალებს.

გაიმართება უკვდავი წინაპრებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების ერთობლივი საიუბილეო ღონისძიებანი.

მოეწყობა მხატვრული ფილმის „დავით გურამიშვილის" დემონსტრაცია, ამ თარიღს მიეძღვნება სატელევიზიო და რადიოგადაცემები, ლიტერატურულ-მუსიკალური სანახაობა, დავით გურამიშვილის ნაწარმოებების მხატვრულ წამკითხველთა კონკურსი. დამზადდება მხატვრული პლაკატი, კეთილმოეწყობა პოეტის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ადგილები კასპისა და მცხეთის რაიონებში.

უკვდავი „დავითიანის" ავტორის ხსოვნას მიეძღვნება საღამოები, რომლებიც გაიმართება თბილისსა და სხვა ქალაქებში.

მწვანეთა თაოსნობით

რამდენიმე წლის წინ საქართველოში გავრცელდა ამერიკული თეთრი პეპელა, რომელმაც თავდაპირველი უყურადღებობის გამო გაანადგურა საქართველოსა და განსაკუთრებით დასავლეთის მცენარეული საფარი. ზარალი მეტად დიდია. მიღებული ზომების მიუხედავად განადგურებული ტერიტორიები უფრო და უფრო იზრდება, საფრთხეშია მოსავალი, ტყეები.

დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში მოსახლეობა დგება დიდი პრობლემის წინაშე, რომლის დაუყოვნებლივ გადასაწყვეტად საჭიროა მასობრივი ღონისძიებების განხორციელება, ასევე მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის და რაიონული ხელმძღვანელობის ერთობლივი ძალისხმევა.

პარასკევს, 22 მაისს ფოთში გაიმართება საქმიანი შეხვედრა ადგილობრივი მწვანეების, ქალაქის ხელმძღვანელებისა და თბილისიდან ჩასული სპეციალისტების მონაწილეობით, სადაც გამოინახება კონკრეტული გზები და ფულადი სახსრები ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ გამოსაყენებელი პრეპარატების შესაძენად.

დახმარების სურვილი გამოთქვეს სახელმწიფო საბჭოს ეკოლოგიის კომისიამ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მცენარეთა დაცვისა და ზოოლოგიის ინსტიტუტებმა.

მოვუწოდებთ ყველა იმ რაიონის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას, რომლებიც დგანან აღნიშნული პრობლემის წინაშე, მონაწილეობა მიიღონ 22 მაისის თათბირის მუშაობაში.

საქართველოს მწვანეების პრეს-სამსახური.

ხელოვნების კვირეული — „ვაზის ყვავილობა"

16 მაისს თელავში გაიხსნა ხელოვნების კვირეული — „ვაზის ყვავილობა", რომელიც 23 მაისამდე გასტანს. მისი ორგანიზატორია საქველმოქმედო საზოგადოება „თელავი". საზოგადოება ერთი წელია დააფუძნეს თელაველმა ახალგაზრდებმა. ამ ხნის მანძილზე არაერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი, საზოგადოება, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწევა, სურსათ-სანოვაგით ამარაგებს ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახებს, სკოლა-ინტერნატების 10 მოსწავლეს უხდის სტიპენდიას.

ხელოვნების კვირეულის პროგრამაშია მხატვრული ფილმების ჩვენება, ახალგაზრდა მხატვართა გამოფენების მოწყობა და ადგილობრივი და მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები. შემოსული თანხა საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება.

გასულ შაბათს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში გაიხსნა ეს კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კინორეჟისორებმა ლანა ღოღობერიძემ, ნანა ხატისკაცმა, ლეილა გორდელაძემ, დათო ჯანელიძემ, მიხეილ კალატოზიშვილმა და სცენარისტმა ზაირა არსენიშვილმა.

მათ ილაპარაკეს ქართული კინოს დღევანდელ და სამომავლო ამოცანებზე. ბოლოს გაიმართა მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის „რჩეულის" პრემიერა.

ზურაბ არსენიშვილი.

ხანძარი • მეტროში

17 მაისს დაახლოებით საღამოს ექვსი საათისათვის მეტროს „თავისუფლების მოედნის" სადგურში ხანძარი გაჩნდა. მეხანძრეთა ოპერატიულობის მეოხებით იგი არ გავრცელებულა და ხანძრის კერა დროზე ჩააქრეს. როგორც გამოირკვა, ხანძრის მიზეზი იყო სიგარეტის ჩაუქრობელი ნამწვი. გვინდა, გვჯეროდეს, რომ შემთხვევა ჩააფიქრებს იმათ, ვინც არღვევს თბილისის მეტროში ქცევის ელემენტარულ წესებს.

თენგიზ ჩხიკვაძე.

აჭარის პროკურატურა გაიფიცა

8 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომას აჭარის პროკურორი რამაზ ქლენტი არ დაესწრო.

იგი სესიის დაწყების წინ დარბაზიდან გაიყვანეს. პროკურატურის თანამშრომლებმა სესიას წერილობითი პროტესტი გაუგზავნეს. სასურველი იყო ორივე მხარეს მოთმინება და დიდსულოვნება გამოეჩინა, დაძაბული ურთიერთობა როგორმე განემუხტა, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, შემდგომ დღეებში გარეშე ძალებმა მდგომარეობა უფრო გაართულეს. მოქალაქეთა ჯგუფმა 15 მაისს პროკურატურის სადარბაზო კარი აჰედა და აქცია მოაწყო.

პროკურატურის თანამშრომლებმა ჩათვალეს, რომ ხელისუფლება მათ შეგნებულად არ აძლევდა ნორმალური მუშაობის საშუალებას. იმავე დღეს მოიწვიეს ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების თანამშრომელთა საერთო კრება, სადაც გადაწყვიტეს 19 მაისიდან გამოაცხადონ გაფიცვა, ამავე დროს მათ მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, დროებით მთავრობას, გენერალურ პროკურორს ვ. რაზმაძეს, საქართველოს ტელევიზიას, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას და სხვა ორგანოებს.

მიმართვაში ნათქვამია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ბოლო 9 თვის განმავლობაში ეწევა აჭარის პროკურატურის დისკრედიტაციას. ხელისუფლების მითითებით აჭარის ტელევიზიამ დეზინფორმაცია გაავრცელა ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის რამაზ ქლენტის განთავისუფლების შესახებ.

პროკურატურის აზრით, სარფის საბაჟოზე მრავალი დანაშაული ხდება, მაგრამ ხელოვნურად ქმნიან დაბრკოლებებს, რათა პროკურატურის ორგანოებმა არ ჩაიხედონ საბაჟოს მუშაობაში.

მიმართვაში ნათქვამია, რომ 8 მაისს ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს საქართველოს ეროვნული გვარდიის რამდენიმე შეიარაღებული ოფიცერი, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ტერორისტული აქტის მოსახდენად იყვნენ ჩამოსულნი.

პროკურატურამ არ გაიზიარა ეს ვერსია და მოითხოვა მათი განთავისუფლება. როგორც მიმართვაში წერია, განაწყენებულმა ხელისუფლებამ ამის გამო პროკურორის მოადგილეს ზ. დონაძეს მოსთხოვა დატოვოს თანამდებობა.

მიმართვაში გაანალიზებულია სხვა ფაქტებიც. მას ხელს აწერს 60 თანამშრომელი.

ასეა თუ ისე, 19 მაისიდან გამოცხადებულია აჭარის პროკურატურის მუშაკთა გაფიცვა.

ვფიქრობთ, რომ ასეთი პოზიცია არ არის გამართლებული. „შოსან ქალებს" საქართველოს პროკურატურა ხანგრძლივად ჰქონდათ პიკეტირებული, მაგრამ თანამშრომლებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ.

ვფიქრობთ, საქართველოს გენერალური პროკურორი ბატონი ვახტანგ რაზმაძე გაარკვევს მტყუანსა და მართალს, ვიდრე საქმე კიდევ უფრო გამწვავდებოდეს.

მიხეილ გორგილაძე.

ეს ჩვენი საქართველოა!

თავისუფალი ვაჭრობის ნიუანსები.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

ჰიდრომეტცენტრი გვაფრთხილებს

როდემდე გასტანს წვიმები

ამ კითხვაზე „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე — ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი ნიკოლოზ ბერაძე:

— **ჩრდილოეთიდან** ცივი ჰაერი გავრცელდა. მას თან სამხრეთიდან შედარებით ცივი ჰაერის გადმოტანა დაემთხვა. თვისებრივად ამ ორი განსხვავებული ჰაერის მასების შერევამ საქართველოს ტერიტორიაზე ეს წვიმები გამოიწვია.

დასავლეთ საქართველოში უახლოესი 2—3 დღის განმავლობაში წვიმები კვლავ გაგრძელდება. თუმცა მოდიდებულმა მდინარემ ახალგორში ჯებირები გადმოანგრია. მაგრამ ამჟამად წყალდიდობა კი არ არის საშიში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვიანობის შექმნილი პირობები (კახეთი ზოგან დაისეტყვა კიდეც), რაც უახლოესი დღეების მანძილზე შენარჩუნებული იქნება.

ინტერვიუ

დიდ სარბიელზე

საქართველოს პირველი ჟურნალისტური ორგანიზაცია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, გახდა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 55-ე კონგრესზე იგი გახდა სპორტულ სამყაროში ამ უაღრესად ავტორიტეტიანი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი.

— ზუსტად ერთი წელი გავიდა ჩვენი ასოციაციის შექმნიდან სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში შესვლამდე, — გვითხრა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა**. — ახლა ჩვენს რიგებში გაერთიანებულია რესპუბლიკური პრესის 60-ზე მეტი წარმომადგენელი, ამა წლის მარტში ჩვენ ვთხოვეთ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის შტაბ-ბინას ბუდაპეშტში მივეღეთ წევრად, წარვადგინეთ ყველა საჭირო მასალა. ორი დღის შემდეგ მივიღეთ საპასუხო ფაქსი ცნობით, რომ საკითხი შეტანილია მორიგი კონგრესის დღის წესრიგში. მივიღეთ აგრეთვე მიწვევა ბუდაპეშტში.

დღეს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრია 113 ეროვნული ჟურნალისტური ორგანიზაცია და დაახლოებით 9 ათასი ჟურნალისტი — პერსონალურად. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 55-ე კონგრესზე ელგუჯა ბერიშვილი პირველად წარმოადგენდა ჩვენს რესპუბლიკას.

— მადლობას ვუხდით საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ამ მოგზაურობის ორგანიზაციაში, — თქვა მან. — 28 აპრილს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის აღმასკომის სხდომაზე საქართველო მიიღეს დროებით წევრად, ორი დღის შემდეგ კი, კონგრესის პირველ სესიაზე — მუდმივ წევრად. ასევე ერთხმად მიიღეს კიდევ 12 ქვეყანა — ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, რუსეთი, ბელარუსი, სლოვენია, ხორვატია, მონღოლეთი, ნეპალი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გუამი და ალბანეთი.

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ინდივიდუალური წევრი გახდა პირველი 10 ქართველი ჟურნალისტი, და ახლა ყოველწლიურად მათი რიცხვი გაიზრდება. კონგრესი ძალზე მაღალ დონეზე გაიმართა — მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კევინ გოსპერი, უნგრეთის მთავრობის წევრები, და სასიხარულო იყო ის, რომ საქართველო, ბოლოს და ბოლოს, წარმოდგენილი იყო სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

— ***კიდევ რა საკითხები განიხილეს ბუდაპეშტის კონგრესზე?***

— განიხილეს დოპინგთან ბრძოლის, ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ტენდენციის, საერთაშორისო ასპარეზობებზე ჟურნალისტთა მომსახურების გაუმჯობესების საკითხები, გამოავლინეს ევროპის 1991 წლის საუკეთესო სპორტსმენები და საუკეთესო პრესცენტრი. მე კი შევეცადე ჩემი ყოფნა ბუდაპეშტში გამომეყენებინა სასარგებლო საქმიანი შეხვედრებისათვის. ვესაუბრე სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს ინგლისელ ფრენკ ტეილორს, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ მის ორგანიზაციასთან, გულთბილად გაიხსენა საქართველო. იგი დავპატიჟე ჩვენს რესპუბლიკაში. ალბათ, გაისად გვეწვევა, სტამბოლში სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 56-ე კონგრესის დასრულების შემდეგ. მქონდა შეხვედრა სპორტულ ჟურნალისტთა ევროპის კავშირის ხელმძღვანელებთან, რომლებიც დამპირდნენ, რომ ეწვევიან საქართველოს ამა წლის სექტემბერში სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ახალ არჩეული წევრებისათვის საკონსულტაციო თათბირის შემდეგ, რომელიც მინსკში გაიმართება. დამყარებულია აგრეთვე უშუალო კონტაქტები სპორტულ ჟურნალისტთა 20-ზე მეტ ეროვნულ ფედერაციასთან, ხელმოწერილია თანამშრომლობის ორი ხელშეკრულება — იტალიასთან და მონღოლეთთან.

საქართველოს ჟურნალისტები საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები არიან

— **კონკრეტულად რას მისცემს ჩვენს ჟურნალისტებს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრობა?**

— ჯერ ერთი, აკრედიტაციას ყველა საერთაშორისო ასპარეზობაზე, რაც წინათ რეგლამენტირებული იყო ჩვენთვის ყბადაღებული „ცენტრის" მიერ. შემდეგ — უშუალო თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებას მსოფლიოს წამყვან ჟურნალისტებთან. და რაც ყველაზე მთავარია — ქართული სპორტის პროპაგანდის საშუალებას. და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. საკმარისია ითქვას, რომ კონგრესის ყველა მონაწილეს დავურიგე მასალები საქართველოს სპორტსმენთა საერთაშორისო მიღწევების შესახებ, და მრავალმა მათგანმა პირველად გაიგო, თუ რა მაღალი დონე ჰქონია ჩვენს სპორტს. გაუკვირდათ, მაგალითად, რომ საქართველოს აქვს 28 ოქროს ოლიმპიური მედალი, ესპანეთს კი — სულ 2... სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ყოველკვარტალურ ჟურნალ „ინტერნეიშნლ სპორტში" დაიბეჭდება მასალები საქართველოს შესახებ, პირველი ასეთი მასალა უკვე გადავეცით რედაქციას და მან დიდი ინტერესი გამოიწვია.

— **რა პრობლემები დგას ახლა თქვენი ასოციაციის წინაშე?**

— როგორც სხვების წინაშე — ფინანსური პრობლემები. ორგანიზაციული საკითხები გადაწყვეტილია და ახლა ჩვენ გვაქვს როგორც მთავრობის, ისე სპონსორების დახმარების იმედი, როგორც ეს ხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. სხვათა შორის, ბუდაპეშტის კონგრესს ჰყავდა 30 სპონსორი, რომელთა შორის იყვნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ფირმები, როგორიც არის „ადიდასი", „კოკა-კოლა", „მარსი", „მიცუბისი", „პოლაროიდი" და სხვები. მადლობას გადავუხდით ყველას, ვისაც უყვარს სპორტი და დაეხმარება ასოციაციას, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს ინტერესების სამსახური.

საუბარს უძღვებოდა
ვლადიმერ თავაძე.

რობანი

● ჭადრაკი

შვიდი ქვეყნის მონაწილეობით

ამ დღეებში თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს. მოჭადრაკეთა ამ ფორუმში შვიდი ქვეყნის 134 დიდოსტატი, საერთაშორისო ოსტატი, ფიდე-ს ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. საქართველოს 22 ქალაქის მოჭადრაკე წარმოადგენდა.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. პირველი — მესამე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა მაია ჩიბურდანიძემ, ზურაბ სტურუამ და გია გიორგაძემ — 7,5-7,5 ქულა. თითოეულმა ჯილდოდ 40 ათასი მანეთი და 200 დოლარი მიიღო. მეოთხე-მეცხრე ადგილები გაინაწილეს დიდოსტატებმა ქეთევან არახამიამ, გენადი ზაიჩიკმა, საერთაშორისო ოსტატმა გენადი ტენიკმა (რუსეთი), ოსტატობის კანდიდატებმა 16 წლის თამარ ფანჩულიამ, 15 წლის ვიგენ მიურუმიანმა (ერევანი) და ხვიჩა სუპატაშვილმა — 7-7 ქულა.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თენგიზ გიორგაძემ აღნიშნა:

— მსგავსი მასობრივი და წარმომადგენლობითი ტურნირი ჩვენში ადრე არასოდეს გამართულა. ამიტომაც იგი დიდ ინტერესს იწვევდა. გათამაშდა 810 პარტია, რომელთა უმრავლესობა აღსავსე იყო მძაფრი ბრძოლით, საყურადღებო იდეებით, რამაც უთუოდ ხელი შეუწყო ქართველ მოჭადრაკეთა შემოქმედებითი დაოსტატებას. გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში იყვნენ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები. მათმა თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ნანა იოსელიანმა ისე მარჯვედ მოუგო ზაიჩიკს, რომ საგანგებო პრიზი „ლამაზი თამაშისათვის" 15 ათასი მანეთი დაიმსახურა. ტურნირმა ძალიან გაგვაცნო მრავალი ნიჭიერი ყმაწვილი მოჭადრაკე. მაგალითად, თბილისის 58-ე სპეციალიზებული სპორტული სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე თამარ ფანჩულია, რომელმაც გაუსწრო ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეებს ნონა გაფრინდაშვილს, ნანა იოსელიანს, ნინო გურიელს, ქეთევან კახიანს. ასე რომ, ტურნირში ქართული ჭადრაკის ხვალინდელი დღეც ვიხილეთ.

და ბოლოს, დიდი მადლობა ეთქმის „შევარდენის" მესვეურებს, რომ მათ ურთულეს დროში შეძლეს მოჭადრაკეთა ესოდენ დიდი შეჯიბრების მოწყობა, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი მოჰყვება.

◦

17 მაისს ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პლენუმი, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა გახსნა. პლენუმმა ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

გიორგი იუხნელი.

● ფეხბურთი

კვირას გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის XXXII ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „ცხუმი" — „მარგვეთი" — 3:1, „ბათუმი" — „გორდა" — 1:1, „კოლხეთი-1913" — „ალაზანი" — 0:0, „ამირანი" — „მზიური" — 2:2, „ქუთაისი" — „სამგურალი" — 5:2, „სამტრედია" — „კოლხეთი" — 2:0, „სულორი" — „შევარდენი-1906" — 1:0. მატჩი 85-ე წუთზე შეწყდა. „გურია" — „დილა" — 5:1, „იბერია" — „მერცხალი" — 2:0.

თბილისის „მრეტები" არ გამოცხადდა ზუგდიდის „ოდიშთან" სათამაშოდ.

შემდეგი ტური გაიმართება 20 მაისს.

რეკლამა ● განცხადება

ცხინვალის რეგიონის ლტოლვილთა საყურადღებოდ!

ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალურ სამთავრობო კომისიას დამტკიცებული აქვს ანკეტა — შიდა ქართლის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) აღრიცხვისა და მათთვის მიყენებული ზარალის აღნუსხვისა.

ანკეტა სასურველია შეავსოს ოჯახის უფროსმა.

კომისია სთხოვს ყველა იძულებით გადაადგილებულ (დევნილ) პირს, გულისყურით მოეკიდონ ანკეტის დროულად შევსებას და რაც შეიძლება მალე წარმოადგინონ კომისიაში — ალ. ყაზბეგის ქ. 17, ტელ.: 98-99-26, 29-26-80.

ის ლტოლვილები, რომლებიც ნათესავ-მეგობრებთან ცხოვრობენ, ანკეტის ბლანკების მისაღებად და შესავსებად უნდა გამოცხადნენ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ლტოლვილთა შტაბში.

ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალური სამთავრობო კომისია.

ბავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „ბავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „ბავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით, „ბავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

ყველას, ვისაც ესაჭიროება უფასო კვება

სათნოების სახლში დაიწყო შიმშილობის ზღვართან მყოფი ყველა იმ ოჯახისა თუ ცალკეული მოქალაქის რეგისტრაცია, რომელიც უფასო სასადილოთი მომსახურებას საჭიროებს.

ყველას, ვისაც ესაჭიროება უფასო კვება და შეუძლია ამ მიზნით სასადილოში სიარული, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონებით:

95-17-67, 95-48-32.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეგროვებას ამ ეტაპზე ამგვარ ადამიანთა საერთო რიცხვის დადგენის ფუნქცია აქვს. თვით სასადილოს გახსნის თარიღისა და ადგილის თაობაზე გაცნობებთ დამატებით.

ასოციაცია „კათარზისი".

უძრავი ქონების ბირჟა

უტა

დღეს ფულის დაბანდება უძრავ ქონებაში — ხვალ თქვენი კაპიტალის გაზრდის გარანტიაა

1992 წლის 27 მაისს, 14 საათზე

უძრავი ქონების ბირჟა „უტა" აწყობს პირველ დახურულ სააუქციონო ვაჭრობას, რომელზეც შეგიძლიათ შეიძინოთ სხვადასხვა სამშენებლო მასალა.

შეგიძლიათ შეიძინოთ აგრეთვე წერეთლის გამზირზე მშენებარე ორ, სამ და ოთხოთახიანი ბინები სრული ორწლიანი გარანტიით — ახალმოსახლეობა აღინიშნება 1994 წლის 1 ივლისს.

ბინების საშუალო სასტარტო ფასებია შესაბამისად: 1100 ათასი მან.; 1600 ათასი მან.; 2800 ათასი მან.

ბინებისა და მასალების შეძენის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ საბროკერო ფირმებს:

1. „არადა" — 29-49-05, 29-49-06;
2. „იბერი" — 98-92-03, 98-92-04;
3. „თბილვესტი" — 29-81-85, 95-98-84;
4. „ოაზისი" — 22-59-17, 93-18-49;
5. „ასა-ბროკი" — 51-98-01;
6. „თელი" — 51-56-49, 95-70-44;
7. „ვილდია" — 98-45-88, 95-16-16;
8. „ნიკე" — 68-27-36, 30-11-58;
9. „მტ" — 71-73-82;
10. „ქარვასლა" — 34-67-88, 34-24-68;
11. „ლარი" — 37-20-64, 37-58-25;
12. „ელმოტი" — 61-38-72;
13. „კარლოსი" — (ქ. ქუთაისი) 6-21-96;
14. „ლიბო" — 95-67-78;
15. „ადამასი" — 38-37-00;
16. „ამბიონი" — 51-90-36, 99-78-17;
17. „GI" — 98-30-36, 38-20-88;
18. „ბექა" — 22-50-77;

უძრავი ქონების ბირჟა „უტა", სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო".

UTA

EXCHANGE OF REAL ESTATE

„არმაზი" გთავაზობთ

ტურისტულ მოგზაურობას

საფრანგეთში (3 დღე) ივლისი-აგვისტოს თვეებში. საგზურის ღირებულება 180 დოლარი და 7000 მანეთია. გთავაზობთ საინტერესო მოგზაურობას ბელგია (4 დღე), ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში (2 დღე) სექტემბრის თვეში. საბუთების მიღება და გაფორმება წარმოებს მაისის თვეში. საგზურის ღირებულება 260 დოლარი და 7000 მანეთია.

ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიაში. ჩეხოსლოვაკია (ბრატისლავა — 1 დღე). გერმანია (მიუნხენი — 2 დღე, ბოსაუ — 1 დღე). საგზურის ღირებულება 125 დოლარი და 6000 მანეთია. აგრეთვე, გთავაზობთ მოგზაურობას ჩინეთსა და ირანში მაისი-ივნისის თვეებში.

ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ტურისტულ ფირმა „არმაზს".

შემდეგ მისამართზე: კუტუზოვის ქ. № 3, სასტუმრო „ნეკრესი" (ყოფილი ცირკის სასტუმრო), მე-2 სართული. ტელ: 36-48-11.

„მარიხი",

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე [illegible];
წერილების განყოფილება [illegible].

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება [illegible] კომბინატში;
[illegible] ქ. № [illegible].

[illegible]